საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკური სიცრუეა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 4-6 ნოემბერი. 2022 წ. №170 (9508) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ამერიკის საელჩოს თანამშრომლებო!

სად უჭიფარი, უზრდელი, არაკაცი ნიკა გვარამია და სად საქართველოს ევროპული მომავალი?!

იხ. 2 გვ.

საქართველოს გავლით - ევროპის ახალი ენერგეტიკული მარშრუტები

იხ. 3 გვ.

„ბონჩო“ უცხოეთიდან მართავდა „ქურდულ სამყაროს“

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ქვემო ქართლში, აჭარასა და სამეგრელოში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 4 პირი: 1962 წელს დაბადებული რ. ხ., ასევე წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პირები: 1989 წელს დაბადებული გ. პ., 1990 წელს დაბადებული ბ. ს.,1980 წელს დაბადებული ს.ყ. დააკავეს.

ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ „კანონიერ ქურდს“ - 1977 წელს დაბადებულ ჯ. ბ.-ს, მეტსახელად „ბონჩოს“ და 1974 წელს დაბადებულ ა.თ.-ს.

ზემოაღნიშნულ პირებს ბრალად ედებათ „კანონიერი ქურდობა“, „ქურდული სამყაროს“ წევრობა“, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალვა.

ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირის ბრალდებით დაკავებული და ბრალწარდგენილი პირები აქტიურად მონაწილეობდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებაში, პირადი სარგებლისა და უპირატესობის მიღების მიზნით ერთვებოდნენ მოქალაქეთა და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფ პირებს შორის წარმოშობილი პირადი კონფლიქტებისა თუ ფინანსური დავების მოგვარებაში, ასევე, „ქურდული წესებით“ გადაწყვეტაში, უკავშირდებოდნენ კრიმინალურ ავტორიტეტებს, აგრეთვე, საზღვარგარეთ მყოფ ქართველ „კანონიერ ქურდებს“, მათ შორის მინდია ლავასოღლის, ასლან ქობულაძეს, მეტსახელად „ბაბუ“-ს და მათგან მითითებებს იღებდნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფი ქართველი „კანონიერი ქურდი“ - ჯ. ბ. (მეტსახელად „ბონჩო“), ქონებრივი სარგებლის მისაღებად, თავისი კრიმინალური გავლენის გამოყენებით მართავდა და ორგანიზებას უწევდა საქართველოში მცხოვრებ, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერ პირებს, ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებულ რ.ხ.-ს და ს.ყ.-ს. კერძოდ, ჯ.ბ. აღნიშნული პირების მეშვეობით უკავშირდებოდა ერთ-ერთ მოქალაქეს გ.გ.-ს, რომლისგანაც ბრალდებულები ქართველი ბიზნესმენისგან სესხის სახით გამორთმეული თანხის — 55 000 ლარის გამოძალვას ცდილობდნენ, მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობის მუქარითა და ე.წ. ქურდული გარჩევის გზით.

დანაშაულები 3-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ირაკლი ღარიბაშვილი:

ვულოცავ ყველა ქართველ დიპლომატს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქართველ დიპლომატებს პროფესიულ დღესასწაულს - ქართული დიპლომატიის დღეს ულოცავს.

„ყველა ქართველ დიპლომატს ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს — ქართული დიპლომატიის დღეს!

ეს თარიღი დიდი საზოგადო მოღვაწის, ქართველი ერის ევროპული იდეის ერთ-ერთი მედროშის — სულხან-საბა ორბელიანის სახელს უკავშირდება. საამაყოა, რომ ქართული დიპლომატია დღესაც ღირსეულად ასრულებს დიდ წინაპართა მისიას, ურთულესი გამოწვევების ფონზე სათანადოდ ატარებს საქართველოს ინტერესებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობასა და განვითარებაში. დღეს ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით სჭირდება მაღალპროფესიონალი, პატრიოტი დიპლომატები. გიდასტურებთ პირადად ჩემს და მთავრობის მხარდაჭერას იმ საქმიანობაში, რომელიც შედეგსა და ქვეყნის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული“.

რეკვიემი

კაცი მართალი

იხ. 8-9 გვ.

გაგა შურღაია:

ასე მგონია, შენნაირი დიდი კაცები — სახელოვანნი თუ უსახელო უფლისცისელნი იყვნენ, თავიანთ მხრებზე ისტორიის ქარტეხილებს რომ გამოატარეს საქართველო და დღევანდელ დღემდე მოგვიტანეს...

ოლიმპიელი ჩხოტოწყალი

სულს მისი ლექსი მიმშვიდებს...

იხ. 8-9 გვ.



დღეს, 4 ნოემბერს, მწერალთა სახლში, 6 საათზე გაიმართება ცნობილი ქართველი პოეტისა და ჟურნალისტის ლაშა ბახარიას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო (მაჩაბლის ქ. №13).

ქართული ჟურნალისტიკის და დემოკრატიის საყოველთაო სირცხვილი ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვეს!

„ქართულ ოცნებაში“ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების ფაქტს ეხმიანებიან და აცხადებენ, რომ „არამარტო გვარამიასთან მიმართებით, არამედ ზოგადად, პრეზიდენტს შეწყალების უფლებასთან დაკავშირებით სერიოზული დაფიქრება მართებს“.

„რაც შეეხება შეწყალებას, ეს ყველა ბრალდებული და მსჯავრდებული პირის უფლებაა, რომ გამოიყენოს და ისარგებლოს მიმართვის უფლებით, რამდენად გაუკეთებს რეალიზებას ამ უფლებას პრეზიდენტი, ეს მისი გადასაწყვეტია, თუმცა, ჩემი პოზიციაა, რომ პრეზიდენტისგან არაერთი ალოგიკური შეწყალების უფლების რეალიზება გვინახავს. ვფიქრობ, პრეზიდენტი უნდა დაფიქრდეს არამარტო გვარამიასთან მიმართებით, არამედ ზოგადად, პრეზიდენტს შეწყალების უფლებასთან დაკავშირებით მართებს ძალიან სერიოზული დაფიქრება და გონივრული გადაწყვეტილების მიღება“, — განაცხადა „ქართული ოცნების“ წევრმა დეპუტატმა ალუდა ღუდუშაურმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით „ინტრიგების ხლართვა უადგილოა“: **„ვფიქრობ, როცა დასაბუთებელი გადაწყვეტილება იქნება და მხარეებს ჩაბარდება, პოზიციის დაფიქსირების საშუალება ექნებათ. თუ ვინმეს არ მოსწონს სასამართლოს გადაწყვეტილება, აქვთ საშუალება, არ დაეთანხმონ და გაასაჩივრონ. სპეკულაცია და ინტრიგების ხლართვა მგონია, რომ აქ უადგილოა და ცუდად წარმოაჩენს ნებისმიერ მხარეს, ვინც ჩათვლის, რომ პოლიტიკურ ინსინუაციებს აქვს ადგილი.**

„ქართული ოცნების“ კიდევ ერთი წევრი დეპუტატი **ირაკლი ზარქუა** გვარამიას საქმეზე საუბრისას აცხადებს, რომ „რაც ახლა სასამართლოში მოხდა, არის სამართლიანობის აღდგენა“:

„ჩვენს გვაქვს სახელმწიფო, სადაც მედიას მხარს უჭერენ და ის ტირანიისგან თავისუფალია. თქვენ გახსოვთ, ამ კუთხით 2012 წლამდე რა ხდებოდა. ეს იყო ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, ჟურნალისტების დასახიჩრება, ზოგის მოკვლა. ეს წარსულს ჩაბარდა. ამჟამინდელი რეიტინგი რომ აიღოთ, საქართველო მედიათავისუფლების კუთხით დაწინაურებულია! მგონია, რომ ეს პროცესი, რაც ახლა სასამართლოში მიმდინარეობს, არის სამართლიანობის აღდგენა. თუ დანაშაულს ჩავიდენთ და ეს დაგვიმტკიცდება, ჩვენი სტატუსი არაფერ შუაშია, დეპუტატი ვიქნები თუ ჟურნალისტი“...

მმართველი პარტიის გენმდივანი, თბილისის მერი **კახა კალაძე** აცხადებს, რომ თუ ადამიანს ჩადენილი აქვს დანაშაული, მან პასუხი უნდა აგოს.

„ნიკა გვარამიას პროცესს არ ვაკვირდებოდი და გამიჭირდება დეტალებში შესვლა. რაც შეეხება. პოლიტიკურ პატიმრებს, საბედნიეროდ, საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ. გვყავს სხვადასხვა დამნაშავეები, რომლებიც კონკრეტულ დანაშაულზე იხდიან სასჯელს. ამ „ქეისზე“ გამიჭირდება დეტალებში შესვლა. არავის ცხიხში ყოფნა და წასვლა არ მიხარია, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი ადამიანი ასეა. თუ ადამიანს ჩადენილი აქვს დანაშაული, მან პასუხი უნდა აგოს“, — აღნიშნავს კალაძე.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** მიიჩნევს, რომ „საქართველოს პრეზიდენტი თუ შეიწყალებს ნიკა გვარამიას, ეს იქნება პრეზიდენტის ინსტიტუტის შეურაცხყოფა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან“.

„თქვენ გახსოვთ, როგორ შეურაცხყოფას აყენებდა იგივე სალომე ზურაბიშვილს ნიკა გვარამია, როგორი უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა. ეს იყო არა მარტო პირადად სალომე ზურაბიშვილის, არამედ პრეზიდენტის ინსტიტუტის, პრეზიდენტის ამომრჩევლის შეურაცხყოფა. ასეთ პირობებში პრეზიდენტი თუ შეიწყალებს გვარამიას, ეს იქნება პრეზიდენტის ინსტიტუტის შეურაცხყოფა უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან, რაც არ მგონია, რომ სწორი იყოს“, — განაცხადა კობახიძემ.

„მთავარი არხის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია თბილისის სააპელაციო სასამართლომაც დამნაშავედ ცნო. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მისთვის შეფარდებული თავისუფლების 3 წლითა და 6 თვის ვადით აღკვეთა ძალაში დარჩა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას 6 მილიონ 700 000 ლარის გაფლანგვის ეპიზოდზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის შეფარდებული 50 000-ლარიანი ჯარიმა პატიმრობით შეუცვალა, თუმცა საბოლოოდ, მას საპატიმროში ყოფნა აქამდე განსაზღვრული 3 წლითა და 6 თვის ვადით მოუწევს.

მამალაძის ბრალეულობა სტრასბურგს ეჭვქვეშ არ დაუყენებია!!!

სტრასბურგის სასამართლომ გიორგი მამალაძის სარჩელზე ძირითად ნაწილში მისი ბრალეულობის სტატუსი დაადასტურა და იგივე დატოვა. უფრო მეტიც, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცებულებები სწორად იყო მოპოვებული და ასევე, ამ მტკიცებულებების მის წინააღმდეგ გამოყენების პროცედურა არ იყო ხარვეზიანი, — ამის შესახებ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გიორგი მამალაძის საქმეზე, „მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ“ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით განაცხადეს.

მათივე ცნობით, სასამართლომ გიორგი მამალაძის სარჩელზე ორი დარღვევა დაადგინა, რაც საჯარო მოხელეების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასა და სასამართლო პროცესის დახურვასთან არის დაკავშირებული.

„შესაბამისად, გიორგი მამალაძის ბრალეულობასთან დაკავშირებით არავითარი კითხვის ნიშნები არ არსებობს. გარდა ამისა, როგორც ევროსასამართლო ასკვნის, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ დარღვეულა, რაც გულისხმობს გამოძიების პროცესში სამხილების მოპოვებასა და გამოყენებას. რაც შეეხება დარღვევებს, შესაბამისი უწყებები საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეაგირებას მოახდენენ. ამასთან ერთად, მამალაძეს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა, ხოლო კომპენსაციის სახით მოთხოვნილი დაახლოებით, 800 000 ლარის ნაცვლად სახელმწიფოს 9 000 ლარის გადახდა დააკისრა“, — განაცხადეს პროკურატურაში.

იან კელი უზნეო ამერიკელის სახეა!

საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი იან კელი „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას მიმართ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხმაურება. მისი თქმით, ეს განაჩენი კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია.

„ქართველთა უმრავლესობას ევროპული მომავალი სურს. კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯია. წინსვლის ნიშნები არ ჩანს. ქართველი ხალხი ბევრად უკეთესს იმსახურებს“, — წერს კელი.

სად უტიფარი, უზრდელი, არაკაცი ნიკა გვარამია და სად საქართველოს ევროპული მომავალი, ამერიკის საელჩოს თანამშრომლებო!

აშშ-ის საელჩო: გვარამიას პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ქართველი ხალხის ევროპულ მომავალს!

„იმ დროს, როდესაც საქართველოს ერთგულება მიუკერძოებელი სასამართლოსა და მედია პლურალიზმის მიმართ განსაკუთრებული დაკვირვების საგანია, მთავარი ოპოზიციური ტელეარხის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას მიმდინარე პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ქართველი ხალხის მკაფიო არჩევანსა და საქართველოს ლიდერების გაცხადებულ მიზანს — უფრო უსაფრთხო, დემოკრატიული, ევროპული მომავლისა“, — ასე ეხმიანება საქართველოში აშშ-ის საელჩო ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების ფაქტს.

როგორც დიპლომატიური უწყება აცხადებს, შეერთებული შტატები გააგრძელებს მედიის თავისუფლებისა და სასამართლო რეფორმის მხარდაჭერას, რაც აუცილებელია სტაბილური და წარმატებული დემოკრატიის ასაშენებლად.

„შეერთებული შტატების საელჩო კიდევ ერთხელ გამოხატავს ღრმა შეშფოთებას დღევანდელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით გვარამიას, იაშვილისა და დამენიას საქმეზე. არაერთმა საერთაშორისო და ქართველმა უფლებადამცველმა თავიდანვე წამოჭრა სერიოზული კითხვები ამ საქმის შესახებ, მათ შორის დროსა და ბრალდებებთან დაკავშირებით, აგრეთვე, მსჯავრდებისა და სასჯელის შესახებ. შერჩევითი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების აღქმაც კი ასუსტებს საზოგადოების ნდობას სამართალდამცავების, პროკურატურის, სასამართლოებისა და თავად ხელისუფლების მიმართ. შეერთებული შტატები გააგრძელებს მედიის თავისუფლებისა და სასამართლო რეფორმის მხარდაჭერას, რაც აუცილებელია სტაბილური და წარმატებული დემოკრატიის ასაშენებლად და რაც ქართველი ხალხის მკაფიო სურვილია“, — აცხადებს საელჩო.

აშშ-ის საელჩოს განცხადება ძალიან მძიმეა!

ჩვენი პარტნიორები თანაბრად უნდა უფრთხილდებოდნენ სამართლის უზენაესობას, სასამართლოს დამოუკიდებლობას როგორც საკუთარ ძვეყანაში, ასევე სხვა ძვეყანაში, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადებაზე კომენტირებისას აღნიშნა.

„მე, რა თქმა უნდა, ცოტა მძიმედ უნდა შევაფასო ასეთი განცხადებები. ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არ ვკადრულობთ სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევას და სასამართლოს გადაწყვეტილებებზე რაიმე ფორმით ზემოქმედებას. ვნახე გუშინ ამერიკის საელჩოს განცხადება, ელჩის განცხადება, ეს იყო სასამართლოს დამოუკიდებლობაში პირდაპირი ჩარევა, რაც ბუნებრივია, ძალიან მძიმეა. სხვა შეფასებას მე ამას ვერ მივცემ. რა თქმა უნდა, ჩვენი პარტნიორები თანაბრად უნდა უფრთხილდებოდნენ სამართლის უზენაესობას, სასამართლოს დამოუკიდებლობას როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე სხვა ქვეყანაში. ეს არის ერთადერთი შეფასება, რაც მე შემიძლია, გავაკეთო. ჩვენ სხვანაირად ვუდგებით სასამართლოს დამოუკიდებლობასა და სამართლის უზენაესობას“...



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ – ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲭᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲗᲝᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ, ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ ᲘᲛᲔᲜᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲖᲘᲢᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲣ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲓ ᲘᲡᲔᲕ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲑᲘᲚᲣᲠᲝᲑᲐ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲔᲥᲡ�პᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲝ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ – ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ „ᲝᲛᲨᲘ ᲩᲐᲗᲠᲔᲕᲐ“ ᲡᲣᲠᲗ.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ გავლით ელექტროენერგიის ევროპაში გატანის გადაწყვეტილებაზე, გასული კვირის დასაწყისში, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საქართველოში სტუმრობის დროს ისაუბრა; გასული კვირის მიწურულს კი, აზერბაიჯანული ელექტროენერგიის საქართველოს გავლით მიღების ძლიერ ინტერესზე უკვე უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ლაპარაკობდა, როცა ბუდაპეშტში მან ქართველი კოლეგა ირაკლი ღარიბაშვილი მიიღო.

ორბანმა თქვა, რომ ეს მსხვილი პროექტი „პრინციპული მნიშვნელობისაა“ და აზერბაიჯანული ელექტროენერგია უნგრეთს მისცემს საშუალებას, ჯერ დაზოგოს და მერე უკვე აღარც შეიძინოს ბუნებრივი აირი, რომელსაც მისი ქვეყანა ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად იყენებს. ალიევმა განაცხადა, რომ არსებობს 157 გიგავატის ევროპაში ექსპორტირების რესურსი.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, ევროკავშირის გაცხადებული მიზანი რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულების განულებაა. ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურზულა ფონ დერ ლაიენმა ახლახან აღნიშნა, რომ ევროკავშირმა, ის, რაც წლების საქმე ეგონა, რუსეთის გაზის 2/3-ის ჩანაცვლება, 8 თვეში მოახერხა. თუმცა მარაგების შევსება ევროკავშირს ძვირი დაუჯდა.

ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲝᲡ, ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲤᲡᲙᲔᲠᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲫᲐᲒᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲪᲔᲛᲘ ᲥᲡᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲙᲔᲠᲫᲝᲓ – ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝᲡ. ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲙᲐᲒᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ 1200 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ (1100 ᲙᲛ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨ ᲓᲐ 95 ᲙᲛ ᲮᲛᲔᲚᲔᲗᲖᲔ).

ეს იდეა რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ არ დაბადებულა. ამ პროექტს ევროკავშირის ინტერესი მანამდეც უკავშირდებოდა. 2021 წლის მარტში, ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა ნათია თურნავამ თქვა, რომ ელექტროენერგიის შავი ზღით გავლის პროექტი ბრიუსელში, ევროპელ კოლეგებთან ერთად განიხილეს და „ევროკავშირის შესაბამისმა სტრუქტურებმა მოუწოდეს დასავლურ კომპანიებს, რომ მონაწილეობა მიიღონ როგორც შესწავლის დაფინანსებაში, ასევე შემდგომში ინვესტორებისა და კონტრაქტორების მოძიებაში“.

2021 წელს გამოცხადდა, რომ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას მსოფლიო ბანკი დააფინანსებდა. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2022 წლის აპრილის ინფორმაციით, ტენდერის გზით და 18-თვიანი კონტრაქტით, შეარჩიეს იტალიური საკონსულტაციო კომპანია CESI.

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ტელეკომპანია იმედის ეთერში, რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ **„ეს პროექტი საქართველოს მიერ იყო ინიცირებული“ და მას ევროკავშირი უჭერს მხარს**.

დავითაშვილი ამბობს, რომ „უახლოეს ხანებში, ალბათ – რუმინეთში“, საქართველოს, აზერბაიჯანს, უნგრეთსა და რუმინეთს შორის მოხდება შეთანხმება, რომ ეს რამდენიმემილიარდიანი პროექტი ერთობლივად განახორციელონ.

„ეს არის პროექტი, რომელსაც რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნია და ამ პროექტში უკვე დაინტერესებული მხარეებიც გვყავს. ასეთია აზერბაიჯანი, რომელთანაც ენერგეტიკულ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობა გაგვაჩნია... ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია, რომ მინიმუმ გაერთიანების ორი წევრი ქვეყანა იყოს პროექტში ჩართული და ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საკმაოდ კარგი დიალოგი რუმინელებთან და უნგრეთის ხელისუფლების უმაღლესი პირის, პრემიერი ორბანის მიერ პირდაპირ იქნა დადასტურებული, რომ მათაც სტრატეგიულ პროექტად მიაჩნიათ... დღეს სახეზე გვაქვს ოთხმხრივი თანამშრომლობა“, – ამბობს დავითაშვილი.

ეკონომიკის დოქტორი, „სფერო ინვესტის“ პროექტების მენეჯერი, რამაზ გერლიანი გვეუბნება, რომ, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე და მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოზე გამავალი სატრანზიტო ენერგეტიკული დერეფანი ამჟამად **„აბსოლუტურად უალტერნატივოა, რადგან ერთადერთი ყველაზე უსაფრთხო და ოპტიმალური მანძილის მქონეა ევროპისთვის და სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს როგორც გაზის, ნავთობის, ელექტროენერგიის, ასევე ციფრული ეკონომიკის მიმართულებითაც“.**

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ...

ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲡ ევროკავშირი, განახლებადი ენერგიის (წყალი, ქარი, მზე) ექსპორტირების კუთხით, ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ თვლის და ეს ივლისში ბაქოში ჩასულმა ევროკავშირის პრეზიდენტმა, ურზულა ფონ დერ ლაიენმაც აღნიშნა. თუმცა ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ მის განცხადებაში საგანგებო ყურადღება მაინც ევროპაში იმპორტირებული ბუნებრივი აირის ნაკადის გაზრდას დაეთმო, რაც უფრო სწრაფად შესასრულებელი, ხელშესახები ამოცანაა.

ამ პროექტით დაიგეგმა, რომ: 2027 წლამდე, აზერბაიჯანული გაზის იმპორტი ეტაპობრივად გაორმაგდება – 20 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ხოლო უკვე 2023 წელს, 8-დან 12 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. სამხრეთის გაზის დერეფანი ევროკავშირის დახმარებით გაფართოვდება.

„ევროკომისია უკვე დიდი ხანია მხარს უჭერს სამხრეთის გაზის დერეფნის გაფართოებას, როგორც ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან, უსაფრთხო, სანდო და პროგნოზირებად მომარაგების წყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის და ასევე, შესაძლოა, დასავლეთ ბალკანეთისთვის, ტრანსადრიატიკული მილსადენის გავლით“, – წერია ევროკომისიის დოკუმენტში, რომელიც უკრაინაში რუსეთის ომის ფონზე, ენერგეტიკული პრობლემების დაძლევის სტრატეგიას ასახავს. ამ ტექსტში, მიღწევების 4-პუნქტიან ჩამონათვალში, მეორე პუნქტად არის მოხსენიებული აზერბაიჯანთან 18 ივლისს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი. აზერბაიჯანისა და ევროკომისიის პრეზიდენტებს იმ დღეს საქართველოზე საჯაროდ არაფერი უთქვამთ, მაგრამ მიწოდების არხი – „სამხრეთის გაზის დერეფნი“ საქართველოზე გადის.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲡ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲐ: 1. „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ - ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ“ (SCPX), 2. „ᲢᲠᲐᲜᲡᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ“ (TANAP) ᲓᲐ 3. „ᲢᲠᲐᲜᲡᲐᲓᲠᲘᲐᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘ“ (TAP).

„სამხრეთკავკასიური მილსადენი“ აზერბაიჯანს, საქართველოს გავლით, აკავშირებს თურქეთთან; შემდეგ, „ტრანსანატოლიური მილსადენი“ თურქეთს აკავშირებს საბერძნეთთან; ხოლო „ტრანსადრიატიკული მილსადენი“, რომელიც გადაკვეთს საბერძნეთსა და ალბანეთს, ადრიატიკის ზღვის გავლით უკავშირდება იტალიას.

სამხრეთ კავკასიის მილსადენით საქართველომ გაზის მიღება 2007 წელს დაიწყო. ის ასევე ცნობილია **ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენისა** და **შაჰ-დენიზის გაზსადენის** სახელებით. სამხრეთ კავკასიის მილსადენი გაფართოვდა მეტი გაზის იმპორტირებისა და ევროპის მომარაგების მიზნით.

ამ პროექტს, უკვე დიდი ხანია, მხარს უჭერს როგორც ევროკავშირი, ასევე ამერიკის შეერთებული შტატები.

31 ოქტომბერს „Forbs“-ში დაბეჭდილი პუბლიკაციის თანახმად, აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ საქართველოს ევროკავშირი **„განიხილავს მოკავშირედ მწვანე წყალბადის წარმოების მიმართულებით“,** რაც ევროკავშირის სამომავლო პრიორიტეტს წარმოადგენს. მწვანე წყალბადის, როგორც ენერგიის, მიღების პროცესში მონაწილეობს განახლებადი ენერგორესურსი – წყალი, ქარი და მზე.

მსოფლიო, უკვე ათწლეულებია, ამ მიმართულებით მუშაობს. **„სემეკში (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც იქნება ერთგვარი ფუნდამენტი მწვანე წყალბადის განვითარების ხელშემწყობი დოკუმენტების პროექტების შესაქმნელად“,** – წერია სტატიაში, რომელიც დავით ნარმანიას სახელით ქვეყნდება. მიმდინარეობს დისკუსიები ასევე ყაზახური და თურქმენული ენერგორესურსების ევროპისკენ ტრანსპორტირების პროექტებზე, ასევე საქართველოს გავლით. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სუფსის ტერმინალის კვლავ ამოქმედებაც გახდება საჭირო.

ენერგეტიკის პარალელურად, მნიშვნელოვნად იზრდება ტვირთბრუნვა ევროპასა და აზიას შორის, როცა ბიზნესი რუსეთის გვერდის ავლას ცდილობს. ტვირთები ისევ საქართველოს გავლით და ისევ დასავლეთის ძლიერი ინტერესის თანხლებით მოძრაობს.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲝᲛᲨᲘ ᲩᲐᲗᲠᲔᲕᲐ“

როცა ევროპა რუსეთის ეგიდით მოქმედი ძველი პროექტების ჩანაცვლებას ცდილობს და მნიშვნელოვანი მარშრუტები საქართველოზე გადის, ექსპერტებისთვის ძნელად სარწმუნოა ვერსია, რომ დასავლეთი საქართველოს ომში ჩართვას ცდილობს.

„თავიდანვე ნათელი იყო, რომ ეს რიტორიკა რეალობას იყო აცდენილი, რადგან ყოველთვის ევროპას სჭირდებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ალტერნატიული ენერგორესურსების მისაღებად; ხოლო ომის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ამ მარშრუტების ამოქმედება... მაგრამ ეს რომ ასეა, განსაკუთრებით დადასტურდა მას შემდეგ, რაც ევროკომისიის პრეზიდენტი ჩავიდა ბაქოში, ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს და აზერბაიჯანი ევროპისთვის იქცა რუსეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჩამნაცვლებლად“, – ეუბნება რადიო თავისუფლებას უსაფრთხოების საკითხების სპეციალისტი, დავით ბრაგვაძე და ასევე განმარტავს, რომ რეგიონში მშვიდობა, ამავე მიზეზით, აშშ-ის ინტერესებშიც შედის:

„ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ამოცანაა, რომ ევროპამ დაძლიოს რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება და ამ კუთხით ყველა ალტერნატიულ პროექტს ხმათა შორის – საქართველოს გავლით აუცილებლად დაუჭერს მხარს“.

საქართველოს „ომში ჩათრევის“ საფრთხეებზე, თვეების წინ, ჯერ „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ლაპარაკი, ხოლო შემდეგ, მმართველი პარტიიდან „სიმართლის სათქმელად“ წასულმა დეპუტატებმა („ხალხის ძალა“) ეს თემები კიდევ უფრო განავრცეს და გააღრმავეს.

მათი „სცენარით“, საქართველოს ომში ჩართვის მცდელობა მიეწერებათ საერთაშორისო პარტნიორებს, განსაკუთრებით – აშშ-ის ელჩს, ევროპარლამენტარებს, ყოფილ ელჩებს, „დიდ ძალებს“ დასავლეთში და ადგილობრივ ოპონენტებს; მათ მიერ მრავალგზის გაპროტესტების მიუხედავად.

რატომ უნდა წავიდეს დასავლეთი თავისივე ინტერესების წინააღმდეგ? – ექსპერტებისთვის გაურკვეველია.

ბოლო პერიოდში გააქტიურებული ენერგეტიკული პროცესები კიდევ უფრო განამტკიცებენ საქართველოს უსაფრთხოებასა და დაცულობას, რადგან **„მათში იმდენი ქვეყნის ინტერესია თავმოყრილი, რომ მოწინააღმდეგეების ბანაკში თითქმის აღარავინ რჩება“.**

ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲘᲐ
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ᲛᲘᲙᲜᲐᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘᲡ ᲬᲠᲔᲖᲔ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ!

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ, ᲤᲣᲥᲡᲐᲕᲐᲢᲝᲑᲔᲜ, ᲛᲐᲠᲢᲝ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲛᲝᲡᲬᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ, ᲛᲬᲐᲠᲡ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲭᲔᲠᲗᲝ!!!

ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲕᲘᲓᲔᲜᲓᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲗ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ? — ᲑᲝᲚᲝ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲕᲓᲘᲗ, ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 3% ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲛ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲝᲡ. ᲐᲜᲣ, �გᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲡᲣᲠᲡ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ �გᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ. ᲛᲐᲨ, ᲕᲘᲡᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲣᲠᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲔᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ?

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ თუ ოპოზიცია პარლამენტს დატოვებს, ეს მათთვის პოლიტიკური ხარაკირი იქნება, რადგანაც ოპოზიციის მიმართ ისედაც სკეპტიკურად განწყობილ მოსახლეობას, კიდევ უფრო მეტ საბაბს მისცემენ იმისთვის, რომ მათ მხარი არ დაუჭირონ. რაც შეეხება დასავლეთის რეაქციას, ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ უკრაინის ომის გამო, დასავლეთს ჩვენი პოლიტიკური სპექტრისთვის და მათი პრობლემებისთვის ახლა არ სცხელა. მეორეც, როცა ქვეყანაში ხედავენ, რომ ხალხის განწყობა ოპოზიციის ქცევის საწინააღმდეგოა, ჩვენი პარტნიორები ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას არ მოისურვებენ.

პარლამენტის დატოვების იდეა საქართველოს ყოფილმა მეოთხე პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** გააჟღერა. მან ოპოზიციას მოუწოდა, რომ ვითარების დაძაბისთვის სჯობს, პარლამენტი დატოვონ და დასავლელი პარტნიორებიც იძულებულები იქნებიან, ოპოზიციას ამ ნაბიჯზე წაყვნენ.

„ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც თანამშრომლობაზე იტყვის უარს, მოახდენს ამ ხელისუფლების ლუსტრაციას, გამოიყვანს ოპოზიციას პარლამენტიდან და დაძაბავს სიტუაციას, არის პოზიტიური და მისაღები... უნდა იმოქმედო. პირველი — რა თქმა უნდა, პარლამენტი უნდა იქნეს დატოვებული. ეს არ გადაწყვეტს სიტუაციას, მაგრამ ეს დაძაბავს სიტუაციას და ეს მოახდენს ლუსტრაციას. ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც, რომელთა 24-საათიან ლანძღვას ვიგებთ ხელისუფლებისგან, ძალაუნებურად წამოგვყვებიან ამ ნაბიჯში“, — აცხადებს მარგველაშვილი.

ოპოზიციაში მარგველაშვილის მოწოდებას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ოპოზიციის ნაწილი მარგველაშვილის ამ წინადადებას დადებითად აფასებს, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს არაფრის მომცემი იქნება და პირიქით, ოპოზიციას დააზიანებს. დასავლეთის თვალში კი ოპოზიცია დესტრუქციულ ძალად გამოჩნდება.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც მით უმეტეს ყოფილი პრეზიდენტისგან კეთდება, არგუმენტირებული უნდა იყოს.

ძაბირაძე ამბობს, რომ გაუგებარია პარლამენტის დატოვების შემთხვევაში რისი ლუსტრაცია უნდა მოხდეს. დასავლეთმა ისედაც კარგად იცის საქართველოში რა პოლიტიკური ვითარებაა. ამიტომ ამაზე გათვლილი აბსურდული გადაწყვეტილების მიღება თავად ოპოზიციას დააზიანებს და მოსახლეობის სკეპტიკურ დამოკიდებულებას, ოპოზიციის მიმართ, კიდევ უფრო გააძლიერებს.

„დღეს დასავლეთს უკრაინის ომის სახით უდიდესი პრობლემა აქვს. დასავლეთს თუ რაიმე ხელს არ აძლევს და არ სურს, ეს საქართველოში არასტაბილური მდგომარეობაა. თავი რომ დავანებოთ სხვა კიდევ ბევრ დეტალს. აქ არასტაბილური სიტუაცია რომ შეიქმნას, დასავლეთი იძულებული იქნება რაღაცა ნაბიჯები გადადგასო, მაგრამ რა ნაბიჯებს გადადგამს? მარგველაშვილის განცხადება, რომ დასავლეთი რაღაცაზე იძულებით წავიყვანოთ, ცოტა ავანტურისტულია, რაც ჩვენს ქვეყანასაც აზიანებს“.

მისივე თქმით, პარლამენტში ყოფნა ოპოზიციას რას უშლის, გაუგებარია. ძაბირაძე ამბობს, რომ პრობლემა პარლამენტის დატოვება-არდატოვებაზე კი არ არის, არამედ იმაზე, რომ ოპოზიცია პარლამენტში არ მუშაობს. ხალხი ამას ხედავს და მათ მიმართ აგრესიულადაა განწყობილი.

„როცა ამომრჩეველი გაძლევს მანდატს იმისთვის, რომ პარლამენტში იმუშავო და შენ ამის მაგივრად, სხდომებს არ ესწრები, პარლამენტში არ დადიხარ და ფუქსავატობ, ხალხის დამოკიდებულება როგორი იქნება? დებატებში არ ერთვებიან და იმ საქმეს არ აკეთებენ, რისთვისაც ხალხი ფულს უხდის. მარტო ოპოზიციურ ტელევიზიებში წამოჯდებიან და იქიდან ხალხს მოძღვრავენ. ბევრი იმასაც ბედავს, რომ აქეთ ხალხს თითს უქნევს. მოსახლეობას ადანაშაულებენ, თავად უსაქმურები რომ არიან, მაშინ, როდესაც პარლამენტის ტრიბუნა სრულად უნდა იქნას გამოყენებული. თუ დღეს სადმე არის სამუშაო, ეს პარლამენტია. თუ სადმე ვითარებაა გასამწვავებელი, ეს პარლამენტია. ხანდახან ოპოზიციის ქმედებებში ლოგიკას საერთოდ ვერ ვხედავ. ასე ემოციურად თუ ფრაგმენტულად მუშაობა შედეგს არ მოიტანს. ამიტომ პარლამენტის დატოვება გამართლებული არ არის. ვერც ვერავის ვერაფერს აიძულებენ და ამ ტრიბუნასაც დაკარგავენ, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ“, — ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** მიიჩნევს, რომ გიორგი მარგველაშვილის განცხადებას საზოგადოებაში არანაირი წონადობა არ აქვს. აბაშიძე ფიქრობს, რომ მარგველაშვილის რჩევები ოპოზიციას არაფერში წაადგება, რადგან ექს-პრეზიდენტი თავად არსაიდან მოვიდა, პოლიტიკოსი არ არის. ამიტომ სწორ პოლიტიკურ შეფასებებს ვერ აკეთებს და პარლამენტის დატოვებით ოპოზიცია კიდევ უფრო უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდება.

„გიორგი მარგველაშვილმა მიუხედავად პრეზიდენტის პოსტის დაკავებისა, ვერ შეძლო, რომ პოლიტიკოსი გამხდარიყო. ის ერთი ჩვეულებრივი უნივერსიტეტის ლექტორია, რომელიც პოლიტიკურ სიტუაციას ადეკვატურად ვერ აფასებს. მარგველაშვილის სიტყვას ისეთივე ფასი აქვს, როგორც მაგალითად, ეკა გიგაურს სამოქალაქო საზოგადოებაში. ამიტომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, მარგველაშვილი რას ამბობს. რაც შეეხება მომავალ გადალაგებას, ამას ქართველი ამომრჩეველი წყვეტს. ოპოზიციამ ერთხელ პარლამენტისთვის გამოცხადებული ბოიკოტით ვერაფერი მიიღო, პირიქით, რეიტინგი დაუვარდათ და ახლა სადღაც გაერთიანებას ცდილობენ, რომ 2024 წლისთვის თავი გადაირჩინონ.

ვერც ცალკეული ევროპარლამენტარები და ვერც დასავლელი დაქირავებული კონგრესმენები, რომლებიც ოპოზიციის ლობისტები არიან, ხელისუფლებაზე ვერანაირ ზეწოლას ვერ მოახდენენ. ქართველი ხალხის მაგივრად, ვერც ერთი ევროპარლამენტარი თუ ევროკომისიის წევრი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ვინ ჰყავდეს ხელისუფლებაში, მოსწონს თუ არა ეს ვინმეს. აი, სწორედ ეს ვერ შეიგნო ოპოზიციამ და ერთი და იგივე წრეზე დადის. ხალხი კი მათ შორიდან უყურებს და უკვირს ამ აბსურდულ წრეზე რატომ ტრიალებენ. საქართველოში ქვეყნის ბედს და მომავალს ხალხი წყვეტს, ამიტომ სჯობს, ხალხს მოუსმინონ და გადაწყვეტილებები ისე მიიღონ“, — ამბობს აბაშიძე.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„ᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲡ ᲐᲠᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ!

ᲕᲘᲜ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲝᲛᲑᲣᲓᲡᲛᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲠᲩᲔᲕᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ?

— ეს კითხვა დღეს მეტად აქტუალურია, მით უფრო, რომ დასავლური ინსტიტუტები თვალყურს ადევნებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და იმ 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებას, რითაც საქართველომ ევროკავშირის წევრობის კანდიტადის სტატუსი უნდა მოიპოვოს. ხელისუფლებამ უარი თქვა საკუთარი კანდიდატურის წამოყენებისგან და ამით პოლიტიკურ ოპონენტებს აჩვენა, რომ არა მხოლოდ მათ, იგივე არასამთავრობოების მიერ მხარდაჭერილ კანდიდატებს სრული თავისუფლება აქვთ ქვეყნის პირველი უფლებადამცველობისთვის თავი გამოიჩინონ. მათი მხრიდანაც ცდამ, ბუნებრივია, არ დააყოვნა და საზოგადოებამ კარგად დაინახა იმ ადამიანების მონდომება და შესაძლებლობები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ შეძლებენ თავი გაართვან ამ არცთუ იოლ მისიას.

უფლებადამცველი **ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ** უკმაყოფილებას ვერ მალავს იმ შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, რაც მას ოპოზიციის და გავლენიანი არასამთავრობოების მიერ მხარდაჭერილი ომბუდსმენობის კანდიდატების საპარლამენტო მოსმენების შედეგად შეექმნა. რამდენად მძიმე მოსასმენი იყო ომბუდსმენობის კანდიდატების პასუხები და რატომ გაჩნდა მოსაზრება, ჯობია საერთოდ გაუქმდეს სახალხო დამცველის ინსტიტუტი? ამ საკითხებზე „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი **ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ** თავის აზრს გვიზიარებს.

— როგორ შეაფასებდით ომბუდსმენობის კანდიდატების მიერ პარლამენტში კითხვა-პასუხის რეჟიმში გამოკვეთილ პოზიციებს და რა დაინახა საზოგადოებამ ამ მოსმენების დროს? ითქვა, რომ მმართველი გუნდი მათ კანდიდატურებს კენჭისყრაზე ჩააგდებს.

— მძიმე იყო მოსასმენად ის კითხვა-პასუხის რეჟიმი ომბუდსმენობის კანდიდატების უმრავლესობასთან, რომელიც დღეის ჩათვლით პარლამენტში გაიმართა. შთაბეჭდილება დამრჩა, როშ მათმა უმრავლესობამ არ იცოდა, რას ნიშნავს იყო ომბუდსმენი; უმეტესობამ არ იცოდა, რას ნიშნავს პოლიტპატიმარი, რითი ან ვის მიერ უნდა განისაზღვროს ის. ბოლო კანდიდატმა არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა პრევენცია, დისკრიმინაცია და ყველაფერი ის, რაც ზემოთ უკვე ჩამოვთვალე. მე რომ მმართველ პარტიაში ვიყო, ნამდვილად ჩავაგდებდი მათ აბსოლუტურ უმრავლესობას. რაც შეეხება პროცესს, დიახ, პროცესი ნამდვილად გამჭვირვალეა და დემოკრატიულიც, თუმცა ცალკე საკითხია, ასეთმა პროცესმა საზოგადოებას რა დაანახა. ამიტომ როგორც კანონი ითვალისწინებს, ვინაიდან ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ომბუდსმენის მუშაობის ხარისხზე, მანვე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვინ გახდება ომბუდსმენი და ეს ხელოვნური 90 ხმა, რომელიც ჩვენმა „პარტნიორებმა“ სწორედ უხარისხო ომბუდსმენის, უხარისხო პროკურორისა თუ ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევისთვის შემოგვთავაზეს, უნდა იყოს იგნორირებული, ვინაიდან სწორედ ეს წესი განაპირობებს ესოდენ მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების უხაროსხობას.

— პოლიტიკოსების თუ სხვათა კომენტარებსა და შეფასებებში ბოლო დროს აქტიურად ისმის კითხვა, საჭიროა თუ არა საერთოდ ომბუდსმენის ინსტიტუტის არსებობა. ამას იმ ნაკლებეფექტიანობით და დიდი თანხების არაეფექტიანი ხარჯვითაც ხსნიან, რაც ამ ინსტიტუტის მუშაობის პირობებში ჩანს, გამოკვეთილად მიანიშნებენ ომბუდსმენის ტენდენციურობაზეც და ამბობენ, რომ იგივე მოქმედი სახალხო დამცველი ყველას უფლებებს არ იცავს.

— 90 ხმით არჩევის შემთხვევაში, რაც გულისხმობს ოპოზიციის ხმების ხელოვნურად დამატების პროცესს, მოგვცემს ისეთ ომბუდსმენს, რომლის არჩევას, არარჩევა სჯობს, ვინაიდან ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები, ფაქტობრივად, წყალში გადაიყრება და გადასახადის გადამხდელები და ის ადამიანები, ვისაც ესაჭიროებათ ომბუდსმენის დაცვა, დაუცველნი დარჩებიან.

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲙᲝᲬᲝᲬᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ჩვენებურების ჩვენებური...

პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იუბილარია

ჩვენებურების ჩვენებური, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორი შუშანა ფუტკარაძე იუბილარია.

პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ქართველი მუჰაჯირების ყოფა-ცხოვრების, ტრადიციების, ადათ-წესების, ქართული მეტყველების, დიალექტის და ა.შ. პრობლემატიკის შესწავლა. ეს ის პერიოდია, როდესაც ურთიერთობები მეტ-ნაკლებად დაძაბულობიდან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებებში გადადის, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მზაობა სხვა ქვეყანაში ამ ტიპის კვლევების ჩატარებისა.

მან შეძლო ასობით კილომეტრის გავლა და კარდაკარ სიარულით მუჰაჯირების მიერ შენარჩუნებული ზეპირსიტყვიერების მარგალიტები შეაგროვა, ოპიზრებისა და ოსკელების შთამომავალთა ბაგეებიდან ძირძველი ქართული სიტყვები ამოკრიფა და მათი ინტერპრეტაცია მოახერხა. ასევე აღწერა ჩვენებურთა ყოველდღიური ცხოვრება, მოახდინა ფოტოდოკუმენტირება და ეს საინტერესო მასალა მონოგრაფიებისა თუ სამეცნიერო სტატიების სახით ხელმისაწვდომი გახადა აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოებრიობისთვის.

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევები, არც მეტი არც ნაკლები, გმირობის ტოლფასია, მას არაერთგზის შეხვედრია წინააღმდეგობა, თავდაპირველად ეჭვის თვალითაც უყურებდნენ და ხშირად საგანგებოდ უთვალთვალებდნენ... მალე ყველა დარწმუნდა, რომ მისი საქმიანობა, რომელიც სიკეთით და სიყვარულით იყო გაჯერებული, უფრო მეტად განამტკიცებდა ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობებს და ხელს უწყობდა სხვადასხვა კულტურისა და ტრადიციების მქონე ერების ჰარმონიულ თანაცხოვრებას.

ამიტომაც იყო, რომ თურქეთში თავისი საქმიანობის დაწყებიდან მოკლე ხანში შუშანა ფუტკარაძეს ყველა იცნობდა, მისთვის ყველა ოჯახის კარი ღია იყო, ყველამ გააცნობიერა მისი კვლევების მნიშვნელობა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს თურქეთში შუშანა ფუტკარაძე არის აღიარებული მკვლევარი, მისაღები და პატივსაცემი პიროვნება.

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. მის მიერ მოპოვებულ და შესწავლილ მასალებს გააჩნია არა მხოლოდ ლიტერატურული, ისტორიული და სოციალური, არამედ სამედიცინო-ბიოლოგიური მნიშვნელობაც კი.

ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის მიერ მოპოვებულ მასალებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხალხური მედიცინის ნიმუშები, კერძოდ კი სამკურნალწამლო საშუალებები. როგორც ცნობილია, ხალხურ მედიცინას აკისრია მნიშვნელოვანი როლი ახალი მედიკამენტების ბიოპერსპექტივის განსაზღვრაში. ხალხური მედიცინა არის შესანიშნავი ბაზა მეცნიერული მედიცინის განვითარებისთვის.

ამიტომაც მიზანშეწონილია, ისტორიულად დაგროვილი და დღემდე მოტანილი ცოდნა – ზეპირსიტყვიერებით თუ წერილობითი წყაროებით, შევისწავლოთ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და დავნერგოთ მედიცინაში.

ასევე ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცეს პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ მოპოვებულ მასალებში აღწერილი საკვები პროდუქტები, ტკბილეული და ა.შ., რომელიც ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეთნოწამალი და საკვები, აგრეთვე მათი ტექნოლოგია, არის კულტურის და არა ბუნების ფენომენი.

პროფესორი შუშანა ფუტკარაძე აკადემიზმით გაჯერებული მკვლევარია, რომელსაც უყვარს და ესმის ჯავარიანი და თვალადური ქართული სიტყვა, მთელი თავისი ცხოვრება იცავს და ემსახურება მას.

პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ თავისი დაუღალავი შრომით შექმნა სხვადასხვა სფეროსთვის საინტერესო, მდიდარი, საერთაშორისო ღირებულების მქონე ნაშრომები, რომელნიც მომავალი თაობების მასაზრდოებელი იქნება.

ქალბატონი შუშანა განსაკუთრებით გამორჩეული, ღირსეული პიროვნული თვისებების მქონე ადამიანია. სხვებისთვის ზრუნვა და დახმარება თავისი ცხოვრების კრედოა. როგორც ბევრს, მეც მხვდა წილად მისი სიკეთე, მხარდაჭერა და თანადგომა.

ქალბატონო შუშანა! პირველ რიგში, მოგმართავთ უდიდესი მადლიერების გრძნობით, გილოცავთ იუბილეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ხანგრძლივ, ბედნიერ და ჯანსაღ სიცოცხლეს.

ალიოშა ბაკურიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

„ღია მეცნიერების ფორუმი“

პირველად საქართველოში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, 2-4 ნოემბერს სამმხრივი შეხვედრის ფორმატში – ევროკომისიისა და ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის ასოციაციის მონაწილეობით, „ღია მეცნიერების ფორუმი“ იმართება, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ნუნუ მიცკევიჩმა გახსნა.

მინისტრის მოადგილემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ღია მეცნიერების ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ღია მეცნიერება ეს გახლავთ ახალი ფილოსოფია და ახალი ხედვა მეცნიერებაში, რაც უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ მეცნიერებისა და განათლების სექტორისთვის, არამედ მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებისთვის. ღია მეცნიერების განვითარების მხარდაჭერა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რადგან ის ხელს უწყობს საქართველოს სამეცნიერო კვლევით და ინოვაციურ ეკოსისტემას, გახდეს კიდევ უფრო თავსებადი იმ სტანდარტებთან, რომლებსაც დღეს ევროპული სამეცნიერო სივრცე გვთავაზობს“, – განაცხადა ნუნუ მიცკევიჩმა.

განათლების სამინისტროში აღნიშნავენ, რომ „ღია მეცნიერების ფორუმი“, რომელიც სამი დღის განმავლობაში გაგრძელდება, მიზნად ისახავს ღია მეცნიერების ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და განვითარებას, ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელთან (EOSC) თავსებადი სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობასა და ეროვნულ დონეზე EOSC-ის ელჩების გადამზადებას, რაც ქართული სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროს საერთო ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციის გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ფორუმის პირველ დღეს მონაწილეებმა ღია მეცნიერების ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის სამუშაო დოკუმენტი, ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის შექმნაში საქართველოს მონაწილეობის საკითხი და ამ მიმართულებით სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ფორუმის ფარგლებში ასევე ჩატარდება კონფერენცია, რომელშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ევროკომისიისა და ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, Horizon Europe-ის ეროვნული ოფისისა და EOSC-თან (The European Open Science Cloud) თავსებადი სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურებისა და პროექტების ხელმძღვანელები.

ფორუმი ასევე ითვალისწინებს EOSC-ის ელჩებისთვის ტრენინგის ჩატარებას, სადაც ევროპის ღია მეცნიერების ღრუბელთან თავსებადი პლატფორმების შემქმნელები და ექსპერტები ევროპიდან მათ საუკეთესო გამოცდილებას გაუზიარებენ.

ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარე ფორუმში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვთ როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატში.

მომდევნო დღეებში ფორუმის ფარგლებში გაიმართება მრგვალი მაგიდა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ღია მეცნიერების ღრუბლის მართვის საბჭოს წევრები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან და ღია მეცნიერების ეროვნული პლატფორმის შექმნის პერსპექტივებს განიხილავენ.

„აღსანიშნავია, რომ 4 ნოემბერს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული ჰუმანიტარიის ცენტრი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა გახსნა, გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტთან თანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებს.

დოკუმენტის თანახმად, მხარეები პარტნიორობის ფარგლებში ერთობლივ სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტებს განახორციელებენ“, – აღნიშნავენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

პაპა მართალი

მამას – „დაგვიანებული ყვავილების“ ნაცვლად

საქუმელში ჩასვენებულს ვერ შემოგხედე. მინდოდა, ისეთი მეტარებინე ხსოვნაში, როგორსაც ბოლო წლებში თბილისიდან გამგზავრების წინ გხედავდი: საშინაოდ გამოწყობილი, ზამთარში პლედმოხვეული, თმადათოვლილი, სიკეთით აღსავსე მზერით რომ უყურებდი ღვთის მიერ ქვეყანაზე დაბადებულ ყოველ სულიერსა და უსულოს.

ვერ შემოგხედე და სიცოცხლის ბოლომდე სულს შემიხრავს მწარე სინანული. აღარასოდეს მეცოდინება, როგორი იერი გედო, როგორ გეცვა, როგორი მზერა ესროლე გამომშვიდობებისას ამ ქვეყანას, რომლის სიყვარულით რვა ათეულ წელზე მეტი ენთე და იწვოდი.

ვიცოდი, რომ მიყვარდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ გამანახევრებდა უშენობა, აჩრდილად მაქცევდა.

იტალიაში დაბრუნებულს, ჩემმა სტუდენტებმა საგანგებოდ დამუშავებული, უმჭკნარი თეთრი ვარდი მაჩუქეს შენ მოსაგონრად: თეთრი – ქათქათა, სპეტაკი, როგორც ოცნება ყრმობისა; უმჭკნარი – დროსა და სივდილზე ამაღლებული, როგორც ხსოვნა მარადიული, შენს პიროვნებას უმქრალ შარავანდედად თავს რომ დასდგომია.

* * *

ზეციდან ჩამოსულს ჰგავდი, ისე არაფრად მიგაჩნდა მიწიერება. სხვათა მიწიერებისა კი კარგად გესმოდა.

გესმოდა, რა ძვირფასი იყო სიცოცხლე ყოველი სულიერისთვის. შინ შემოსულ მწერსაც ვერ იმეტებდი მოსაკლავად: ისევ ბუნებაში აბრუნებდი. ჩვენი სახლის ეზოში არაერთი მოტეხილი ხის ტოტისთვის ხელახლა გიბოძებია სიცოცხლე და ავი ხელის მიერ კიდევ ერთხელ მოკლული ისევ გაგიცოცხლებია, სული გიჩუქებია მისთვის.

ბედისა და კაცისგან კაცის დაჩაგვრას ვერ იტანდი. არაფერს იშურებდი იმისთვის, რათა ადამიანს ცრემლი ღიმილად გამობრწყინებოდა. ამ დროს არ იცოდი თავის დაზოგვა: არც – ხორცის, არც – სულის და არც – იმის, რასაც ჩვენ, კაცნი რეპუტაციას ვუწოდებთ და რის შელახვასაც აგრერიგ ვუფრთხით. თანაც, ჩრდილში დარჩენას არჩევდი და არ გაღელვებდა, კაცისშვილი თუ ვერ გაიგებდა, რომ შენ მიერ იყო ღვთიური მადლი ამქვეყნად დათესილი.

რამდენ ადამიანს გამოუნათე სიცოცხლე, როდესაც პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდი?! რამდენ ადამიანს მოანახვინე ნააზრევის გამოხატვის უზადო ფორმა, როდესაც ჯერ ჟურნალ “ეკონომისტს“ რედაქტორობდი, ხოლო შემდგომ ახალი საქართველოს ხელისუფლებას უნარი არ ეყო, ქვეყნის საკეთილდღეოდ მოეხმარა შენი გონება, გამოცდილება და უანგაროდ მსახურების მზაობა?! მხოლოდ შენი გონების, ალღოსა და მოყვასისათვის თავის შეწირვის წყალობაა, რომ ქართული ლიტერატურისა და ლექსიკოლოგიის ისტორიას არაერთი მნიშვნელოვანი სახელი და ნაწარმოები შეემატა. შენი ხელით ააწყვე და დიდი რუდუნებით, თანაც უანგაროდ, შენივე ხელით მოამზადე ტექნიკურად მრავალი წუნდაუდებელი წიგნი, რომელთა უმრავლესობას შენი სახელი არც აწერია. ამას მხოლოდ ავტორთა სასიკეთოდ არ აკეთებდი: საზოგადოებას სულიერი გამდიდრების საშუალებას ვერ დაუკარგავდი. თავად კი უამრავი ჩანაფიქრი დაგრჩა ხორცშეუსხმელი. ალბათ, თვლიდი, რომ სხვათა საქმის მომთავრების შემდეგ გამონახავდი შენთვისაც დროს, რომელიც აგრერიგ ძვირფასია და რომელსაც აგრერიგ ვერ ვაფასებთ კაცნი. ამიტომ ჰქვია შენს კომპიუტერში შენი პირადი მასალების საქაღალდეს „მე და ახლობლები“. მაგრამ, განა, ღატაკნი არ დაგვტოვე იმით, რომ უფალთან წაიღე სამუდამოდ შენი ბობოქარი სულის ზღვა ნაფიქრალი?

ჩვენი შეზღუდულობის, მიწიერებისაც კარგად გესმოდა. არ გვაგრძნობინებდი, როგორ გტკენდა გულს ორგულობა, ანგარიშიანობა, უმადურობა, დაუნახაობა, უკულტუროსნება, გულმომჭირნეობით თავის შენახვა-მოფრთხილება. აფხაზეთის ომის დროს კრიმინალთა მიერ მოკლული შენი დის, ეთერის დაკრძალვაზე უყოყმანოდ გადაწყვიტე წასვლა და თანამეგზურობა სთხოვე მეგობრებს, ვინც, შენი აზრით, ხიფათით მოფენილ გზაზე დახმარების ხელის გაწვდას შეძლებდა. ყველამ უარი გითხრა, რადგანაც შეიძლება, უკან ცოცხლებიც კი ვერ დაბრუნებულიყავით. იმიტომ სთხოვე, რომ თავად აზრადაც არ გაგიელვებდა, განსაცდელში მარტოდ მიგეტოვებინა მოყვასი, თავი დაგეზოგა. იმედგაცრუება არ შეგიმჩნევია, თურმე. პირიქით, იქით დაგიმშვიდებია მეგობრები, ჩვენ წავალთ, არაფერი დაგვიშავდებაო. არ შეიმჩნიე, რადგან, ალბათ, იცოდი, რომ ყველას არ შეეძლო ომარ შურღაიაობა. ჩემი და, თამუნა, მერე მიყვებოდა, როგორ იარეთ კალვარის გზაზე სამად სამმა მარტოსულმა: შენ, დედამ და თავად მან.

გოლო წლებში, ალბათ, მოგძანცა მიწაზე ყოფნამ. ჩვენმა საბრალო, ადამიანურმა სისუსტეებმა ქანცი გაგიწყვიტა. ვინ იცის, რამდენი ადამიანის მადლის მომსხმელი, რამდენიმე უახლოესი მეგობრის გარდა, ყველას მიავიწყდი. ლოგინს მიჯაჭვული აპაკი ხორავა სიკვდილის წინ, სულმოუთქმელად, თვეობით ელოდა, თურმე, ტელეფონის ზარს, ნეტავ, ვინმეს გავახსენდეო. არავინ რეკდა, თურმე; არც – ისინი, ვინც თავად მან აქცია პიროვნებებად. როდესაც ამაზე სიტყვის გადაკვრის უფლებას ვაძლევდი თავს, ერთხანს გულისტკივილი გადაგირგენდა სახეზე, მერე კი მომიგებდი, ვერ გაამტყუვნებ, რთული, გაურკვევლობით აღსავსე დრო, ყველას თავისი საზრუნავი აქვს და არაფრისთვის სცალიაო.

ერთიმეორის მიყოლებით გაგეკრიფნენ ამქვეყნიდან მეგობრები და ახლობლები. მორიგი უბედურების გადატანის შემდეგ მაინც ახერხებდი წელში გამართვას და დამძიმებული გულით წმინდანივით ერთგულებდი შენს ღვაწლს. დიმიტრი ნათლიას გარდაცვალება კი სასიკვდილო იარა აღმოჩნდა. ვერაფრით დაგიბრუნე შენთვის ჩვეული ენთუზიაზმი: ვერც – შენს ჩანაფიქრთა განხორციელების მოლოდინით, ვერც – ჩემი თარგმანებისა თუ ფილოლოგიურ-ისტორიული ნაშრომებისათვის შენმიერი ხელის წაკვრის აუცილებლობით და ვერც – ჩვეულებრივი, ადამიანური ხვეწნა-მუდარით. ბოლო თვეებში ერთთავად შენს განუყრელ საკარძელში მჯდარხარ სევდასთან ერთად და ვინ იცის, რა ფიქრი გიხრავდა გულს და გონებას?! ალბათ, ამოწურულად ჩათვალე ამქვეყნად შენი მისია. ანდა, იქნებ, იმდენ ხანს იცხოვრე კაცთა შორის და ისე შეიყვარე ადამის მოდგმა, რომ ჩვენ დაგვემსგავსე, ჩვენი სისუსტეები გაითავისე. ასე ისწავლე, იქნებ, ჯაფისაგან, ცხოვრებისაგან გადაქანცვა.

ზეციდან ჩამოსულს ჰგავდი, ისე ღვთისნიერად იცხოვრე, მამა!

* * *

სამშობლო იყო შენი უზენაესი, უსპეტაკესი, წმინდათაწმინდა საკურთხეველი. ისე პირუთვნელად ემსახურე მას ჯერ ჟურნალ „ეკონომისტში“, შემდეგ – პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, რომ სიცოცხლეშივე ლეგენდად იქეცი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, როგორც პიროვნება, როგორც ადამიანი.

სამშობლოს უსაზღვრო, უპირობო სიყვარული შთაგვინერგე მე და თამუნასაც. გვასწავლიდი ჩვენი ერის ზნეკეთილობას და მის ბუნებაში ჩაკირულ ავ ზნეზედაც მიგვანიშნებდი. ასე განგვიმარტავდი სკოლის მოსწავლეებს მეფე ერეკლესეული გადაწყვეტილების ტრაგიკულ გარდაუვალობას და მას არა მხოლოდ იმდროინდელი საერთაშორისო ისტორიული ვითარების სირთულით, არამედ ჩვენი ერის შინაგანი სისუსტითა და დაშლილობით, გათითოკაცებით, „ჭირსა შიგან“ ერთ მუჭად გამაგრების უუნარობით გვიხსნიდი. მთელი შემდგომი ჩვენი ისტორია სულის მოთქმის, შესამზადებელ პერიოდად გესახებოდა იმ მაღალი იდეალის მისაღწევად, რომელსაც ერის თვითმყოფობა ჰქვია და რომელიც ოდენ დიდი ძალისხმევით, დიდი მსხვერპლის გაღების ფასად მოიპოვება.

ამიტომ სახელმწიფო ეშელონში უჩინარ, ერთგულ მფარველ ანგელოზად მოევლინე ეროვნულ მოძრაობას, ხოლო 9 აპრილის ტრაგედიის მეორე დილითვე უპირობოდ დაუპირისპირდი ქვეყნის პირველ პირს და პროტესტის ნიშნად აღარასოდეს გიტარებია შენი განუყრელი ჰალსტუხი. მხოლოდ სინდისისმიერი თანმიმდევრულობის გამო არ დატოვე კომპარტია, მაგრამ არც საქართველოს ახალი ხელისუფლების მოწვევა მიიღე, მათ სამსახურში შესულიყავი. ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელს, პირველს, ვინც მოგიწვია, დიდად აფასებდი, მაგრამ არაკორექტულად თვლიდი, კომუნისტს ახალ ქვეყანაში საპასუხისმგებლო პოლიტიკურ თანამდებობაზე ეღვაწა, ხოლო მეორეს, პუტჩისტთა თავკაცს, რომელიც კარგად გიცნობდა, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს და „ანალიტიკოსს“ გიწოდებდა, ჯერ კიდევ ასდიოდა დაღვრილი სისხლის სუნი და მასთან ალიანსს უზნეობად თვლიდი. ასე მიგიწვია უმუშევრად დარჩენილი სიცოცხლით აღსავსე 54 წლის კაცი პროფესორმა ლეო ჩიქავამ მის მიერვე ახალდაფუძნებულ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში და შენც ქვეყანაში მიმდინარე ეპოქალური პროცესების შესწავლა დაიწყე.

იმ ავადსახსენებელ ერთ-ერთ 90-იან წელს თბილისში ჩამოსულმა გკითხე, რას საქმიანობ-მეთქი. მიპასუხე, რადგანაც მკითხე, გეტყვი, მცირე ბიზნესსა და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე პატარ-პატარა სტატიების წერა დავიწყეო და მაჩვენე დასტამბული რამდენიმე გამოკვლევა. ჩემი უმეცრების წყალობით, მაშინ ვერ შევაფასე, რა დიდ ჯაფას შესდგომოდი. თვალცრემლიანი ვფურცლავ ახლა შენს საოცარ ნაშრომებს და თვალს ვერ ვუჯერებ: როგორ შეძელი ყოველივე ეს?! როგორ, რა გულმა, რა ენთუზიაზმმა შეგაძლებინა გაყინულ ბიბლიოთეკებში, ან შინ, ხშირად სანთლის შუქზე ფიქრი და წერა?! რა ძალამ შეგაძლებინა ზღვა ქართული და უცხოური ლიტერატურის ჯერ მოძიება და მერე კრიტიკულად გადახარშვა კულტურულ იზოლაციაში მოქცეულ, ეკონომიკურად და ფსიქოლოგიურად დათრგუნვილ ქვეყანაში, სადაც ადამიანებს ფიზიკური არსებობისთვის უხდებოდათ ყოველდღიურად ფიქრი, გარჯა და ბრძოლა?! როგორ მოახერხე მუნჯი ფაქტების ადამიანივით ამეტყველება ისე, რომ ეულს არასოდეს არავისი რჩევა არ გღირსებია?! ქვეყნის სიყვარული, მისი კატასტროფული სინამდვილით გაუსაძლისი ლმობა, მისი ნათელი მომავლის ნატვრა-წადილი და იმედი ყოფილა ყველაფრის თავიდათავი, შენი სწორუპოვარი ანალიტიკური გონების მამოძრავებელი ძალა, რომელიც ერთი წუთით არ გაძლევდა მოსვენებას.

მცირე ბიზნესის განვითარებაში განჭვრიტე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის საფუძველთა საფუძველი. შენი წიგნი „მცირე ბიზნესის საფუძვლები: თეორია, პრაქტიკა, გამოცდილება“ (თბილისი: უნივერსალი, 2010) ისე სიღრმისეულად, ცხადად და გამოწვლილვით აანალიზებს მცირე ბიზნესის რაობასა და ფუნქციას საზოგადოებაში, რომ შენი მხრიდან ყოველგვარი მცდელობის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკუთარი ინიციატივით მიანიჭა მას ეკონომიკური პროფილის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს სტატუსი. დრომ აჩვენა შენი შორსმიმავალი თვალთახედვის უტყუარობა: პანდემია სათავისოდ გამოიყენა მსოფლიო ფინანსურმა ოლიგარქიამ და ადამიანებზე ბატონობისათვის იერიში სწორედ მცირე ბიზნესზე მიიტანა, განვითარებულ ქვეყნებშიც კი მიწასთან გაასწორა იგი და ამით წელში გაწყვიტა, დაიმონა საზოგადოება. ჩვენი ქვეყნის უდღეურ ხელმძღვანელობას თავის დროზე შენი ეკონომიკური რეკომენდაციების გათვალისწინების ჭკუა რომ ჰყოფნოდა, საქართველო მსოფლიოზე დამოკიდებულ, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაკაბალებულ ქვეყნად აღარ იქცეოდა.

მერე ქვეყანაში განახლების სიომ დაჰბერა. რეფორმების „ზემოდან“, ხშირად გაუაზრებელი, უაპელაციოდ განხორციელების შედეგად, უმოწყალოდ დაინგრა ერთ დროს მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამეცნიერო სკოლები. ნაჩქარევმა, ყველაფრის ერთი თარგით ნიველირებამ ჩვენი სამშობლო მსოფლიოს პროვინციულ ქვეყნად გადაქცევისკენ გააქანა. საქართველოს ყოფილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიასა და მისი საქმის გამგრძელებელთა მიერ განხორციელებულმა გაუაზრებელმა რეფორმებმა პირწმინდად გაანადგურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ერთი ხელის მოსმით, ათეულობით შეუერთეს უნივერსიტეტებს და მათ დანამატებად აქციეს, ხოლო შესანიშნავი მეცნიერი-თანამშრომლები უმუშევრობისთვის გაწირეს, რის გამოც ჩაკვდა ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების არაერთი მსოფლიოში გამორჩეული მაღალგანვითარებული მიმართულება.

ასე ამოჰხადეს სული პროფესორ ლეო ჩიქავას მიერ დაფუძნებულ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტსაც, რომელიც აგრერიგ სჭირდებოდა გაეროს მიერ მომაკვდავ ერთა სიაში შეტანილ ჩვენს ქვეყანას. ვალის მოხდის მიზნით რაღაც კონკურსები ჩაატარეს, მერე ინსტიტუტი მთელ მის მეცნიერ-თანამშრომელ-ტექნიკურ პერსონალიანად 10-15 კაცით დააკომპლექტეს და, სამ ათეულ სამეცნიერო დანაყოფთან ერთად, ერთი უმაღლესი სასწავლებლის ქვეგანაყოფად გადააქციეს, ხოლო შენი – ეკონომიკური სოციოლოგიის განყოფილება ჩააბარეს გოგონას, რომელსაც აშშ-ში ეკონომიკის თეორიის ორთვიანი კურსი ჰქონდა გავლილი. ამ მავნებლური ოპერაციის წითელი კომისარი ერთი ჩვენი ნათესავი იყო, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად მუშაობდა, ხოლო ახალ საქართველოში მილტონ ფრიდმანის ნეოლიბერისტულ ეკონომიკურ კონცეფციაზე დაფუძნებული კრიმინალური პოლიტიკური იდეოლოგიის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. აი, ამ ზნეობის ადამიანები გახდნენ ახალი საქართველოს შემოქმედნი!

ჩვენი სამშობლო უფსრკულისკენ მიექანებოდა. გულს გიკლავდა მისი უმომავლობა და ქვეყნის უგუნურ მესვეურთა დამღუპველ პოლიტიკას მწვავე პუბლიცის-

ტური წერილებით ეხმაურებოდი. საოცარი იყო, როგორ ახერხებდი სწორუპოვარი რაციონალიზმი, მშრალი სტატისტიკური მონაცემები უმძაფრესი ემოციური მუხტით დაგეტვირთა და ისეთი სიზუსტით შეგერჩია სიტყვები, ისე ზედგამოჭრილი სიცხადით მიგეგნო თითოეული პარაგრაფის სათაურისთვის, თითქოს, თავადვე ყოფილიყავი იმ მოვლენათა შემქმნელი, რომელთაც აღწერდი და ახასიათებდი. ანდა, იქნებ, არსთა გამრიგეს მოვლენათა მიღმური არსის წვდომის თვალი და, ამდენად, მათი ნამდვილი სახელის ამოცნობის ნიჭი ებოძებინა შენთვის? ერთხელ მითხარი, თვალს რომ დავხუჭავ, ძილშიც კი, გონება თავის კალაპოტს მიუყვება და გზადაგზა სადღაც, გეგონება, მიღმური სამყაროდან, თავისით ამოტივტივდებიან სიტყვები და სათაურები.

კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდი პიროვნებებს, უზნეობას, უმეცრებას, უპასუხისმგებლობას, დაუდევრობას, თავის მოფრთხილებას, ნიჰილიზმსა და უგულობას, მაგრამ თავად სამშობლოს მიმართ საყვედურის სიტყვა არ დაგცდენია. როდესაც იტალიის მოქალაქეობის მიღების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ჩინოვნიკმა უწიგნური ენით მაცნობა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა ჩამოგართვითო და მე გულმოსულმა გითხარი, არ ვაპირებ, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით ამ უმეცარ ხალხს მივმართო-მეთქი, მომიგე, ჩემი სიკვდილი გინდაო? ხოლო, როდესაც სიმწარეგარეული ირონიით გკითხე, ჩემი მოკვეთით საქართველო გამდიდრდა, თუ გაღარიბდა-მეთქი და ჩემი გულისწყრომის მიზეზიც განგიმარტე, დამარიგე, სამშობლოზე გულის მოსვლა და გაჯავრება არ შეიძლებაო. ასე განჭვრეტდი, ერთი შეხედვით, ყოველ მიწიერ განალურობაში იმ მაღალ საზრისს, რომელიც ყოველი პიროვნებისა და მოვლენის არსებობის საწინდარია!

ომარ შურღაია მეუღლესთან ნათელა ქიმერიძესთან ერთად

როდესაც 2010 წელს უმწვავესი და ძირისძირობამდე დასაბუთებული პოლემიკით გამოვეხმაურე ერთ ახლადგამოჩეკილ იტალიელ ისტორიკოსს, რომელმაც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, განსაკუთრებით, უახლესი ისტორია შოვინიზმის ერთ გრძელ თავგადასავლად წარმოადგინა, ამ პუბლიკაციის მოსამზადებლად უმდიდრესი ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალა მომაწოდე ჩვენს სამშობლოში ეროვნულ უმცირესობათა ისტორიასა და უფლებებზე, უცხო ძალის მიერ პროვოცირებულ ეთნიკურ კონფლიქტებსა და 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიაზე, ხოლო ლულუ ჩხენკელის წიგნს „Сила есть – ума не надо (политика России относительно Грузии“ (Тб.,2003) საგანგებოდ დაურთე მცირე გარათი, სადაც მწერდი: „გაგა, ეს წიგნი დოკუმენტების კრებულია. გადაათვალიერე, იქნებ, რამეში გამოგადგეს, შემდეგ კი, იქნებ, ვატიკანის ბიბლიოთეკას აჩუქო. ინგლისური ტექსტები ახლავს და ხალხი სიმართლეს გაიგებს. ო.შ. 21.03.2009“. ასე გესმოდა მოვალეობა, რომელიც სამშობლოსა და სიმართლის წინაშე თითოეულმა პიროვნებამ ყოველდღიურად უნდა მოიხადოს!

ასე მგონია, შენნაირი დიდი კაცები – სახელოვანნი, თუ უსახელო უფლისციხელნი იყვნენ, თავიანთ მხრებზე ისტორიის ქარტეხილებს რომ გამოატარეს საქართველო და დღევანდელ დღემდე მოგვიტანეს.

* * *

შენ იყავი ჩემი საიმედო, უღალატო, უსწრაფესი კავშირი სამშობლოსთან.

უმალ მაცნობებდი ჩვენს ქვეყანაში მომხდარ მოვლენებს და მთხოვდი, გამოვხმაურებოდი მათ, რადგან იმაზეც ზრუნავდი, საქართველოში არ დავიწყებოდათ ჩემი სახელი. როდესაც ერთხანს მხოლოდ დასავლეთ ევროპაში დავიწყე ჩემი ნაშრომების გამოქვეყნება, თითქმის, ძალით მაიძულე მათი ქართული რედაქციების სასტამბოდ მომზადება და დაბეჭდვა, საზოგადოებას თავი წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეახსენოო. გულით გაიხარე, როდესაც 2018 წელს ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელმა ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა სამეცნიერო ცენტრმა, რომის პაპის აღმოსავლურმა ინსტიტუტმა, სერიალით „ქრისტიანული აღმოსავლეთის კრებული“ იტალიურ ენაზე დამისტამბა 700-გვერდიანი მონოგრაფია „ქართლის მეფე, ვახტანგ I გორგასალი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის სათავეებთან“, ხოლო ევროპის წამყვანმა აღმოსავლეთმცოდნეობითმა სამეცნიერო ჟურნალებმა უაღრესად დადებითი რეცენზიები უძღვნეს მას, მაგრამ არ მომიწონე, რომ წიგნს რამდენიმე ათეულგვერდიანი, ვრცელი ანოტაციაც არ დავურთე ქართულ ენაზე. არაერთხელ გითქვამს გულდაწყვეტით, ასე მას შენს სამშობლოში ვერავინ გაიცნობსო. სხვათა შორის, 2019 წლის 21 სექტემბერს, როდესაც უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს ეს წიგნი მიღებაზე საჩუქრად გადავეცი, მანაც იგივე გაიმეორა: ეს ნაშრომი აუცილებლად უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზეო.

შენივე ინიციატივით ეხმაურებოდა ქართული პრესა ჩემს ყოველ მნიშვნელოვან მიღწევას იტალიაში, ხოლო, როდესაც 2020 წლის 28 იანვარს იტალიის კულტურის ძეგლთა, კულტურულ ღონისძიებათა და ტურიზმის სამინისტრომ 2019 წლის ეროვნული პრემია მომანიჭა მხატვრულ თარგმანში, პირადად სთხოვე ბატონ სოსო დანელიას, „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე გამოხმაურებოდა ამ ფაქტს.

შენი ყოველი სატელეფონო ზარი საქმიანი იყო, კონკრეტულ ფაქტთან იყო დაკავშირებული. რჩევას მიზიარებდი და შენს შეუცვლელ თანადგომას მთავაზობდი. ხშირად მაშინაც კი დაგირეკავს, როდესაც საქართველოში გვიანი ღამე ჩამომდგარიყო, ხოლო მე, იტალიაში, სამი საათით უკან მცხოვრებს, ხშირად ყურმილის აღებაც კი დამზარებია.

როგორ დამაკლდება შენი მადლიანი ხელი და ღვთივგანათლებული გონება, მამა!

შენ იყავი ჩემი იოანე ათონელი, ჩემი ყოველი ნაბიჯის შთამაგონებელი, ჩემი ყოველი ქმნილების სულისჩამდგმელი, მფარველი და სწორუპოვარი მეჩუქურთმე. ერთი სტრიქონი არ დამიბეჭდავს, შენი ხელი რომ არ გაევლო. განათლებით ჟურნალისტს, მერე ჟურნალ „ეკონომისტში“ მუშაობისას ეკონომიკურ მეცნიერებებში განსწავლულს, გასაოცარი ალღო გქონდა, განგებზოგადებინა ნებისმიერი პრობლემა, მოვლენათა უაღრესად ფართო თვალსაწიერით გაგეაზრებინა იგი, უზადოდ გაგეჩალხა ქართულად ლიტერატურათმცოდნეობითი, სალიტერატურო კრიტიკული, ფილოლოგიური, ენათმეცნიერული, ისტორიული, ლიტურგიკული, თეოლოგიური და ფსიქოლოგიური სამეცნიერო ნაშრომებიც კი, მხატვრული ნაწარმოებები და თარგმანები, ქართულში უკვე დამკვიდრებული უცხო სიტყვები ძარღვიანი, რაც მთავარია, კონტექსტს ზუსტად მისადაგებული ქართული ტერმინებით, ხშირად ნეოლოგიზმებითაც შეგეცვალა, მცირეოდენი სტილისტური ცვლილებებით ლაკონური და დინამიკური გაგეხადა თხრობა და მსჯელობა. განუმეორებელი ალღოთი გრძნობდი თითოეული სიტყვის ფერსა და სურნელს, ხოლო როდესაც რაიმე არ გესმოდა და ჩამეძიებოდი, ყოველთვის აღმოვაჩენდი, რომ რაღაც ნიუანსი არასწორად მქონდა გააზრებული, ან – ნათარგმნი. თუ სამეცნიერო ნაშრომში რომელიმე უცხოენოვან ციტატას უთარგმნელს დავტოვებდი, როგორც დღეს მრავალ ჩვენგანს უყვარს პოლიგლოტობით თავის მოწონება, აუცილებლად გადმომაღებინებდი ქართულად, ხოლო თუ რომელიმე ბარბარიზმს სიზარმაცის გამო ტექსტში ვტოვებდი, არ გეთაკილებოდა, გეთქვა, რომ მისი მნიშვნელობა არ გესმოდა და ტექსტს მიაწერდი: „ქართულად ვთქვათ, რას ნიშნავს“. ასე გვასწავლე მე და ჩემს დას ნათლად, გამჭვირვალედ, ყველასათვის გასაგები ენით წერა. მეტიც, თუ რომელიმე სიტყვის მართლწერაში მეპარებოდა ეჭვი, არცკი ვიხედებოდი ორთოგრაფიულ ლექსიკონში. შენი იმედი მქონდა: დარწმუნებული ვიყავი, პირდაპირ ჩამისწორებდი, ან შენ თვითონ შეამოწმებდი ორთოგრაფიულ ლექსიკონში. შენ იმედი იყავი თავად, მამა!

შენ გამიკვალე გზა მეცნიერებაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელს, შენ გამისწორე პირველი სამეცნიერო სტატია „სასწაული საკ3რველი“ და აპრიორთა ოთხება“, რომელიც ბატონმა რევაზ მიშველადეძემ ჟურნალ „კრიტიკაში“ დამისტამბა. იმ ავადსახსენებელ 90-იან წლებში, როდესაც სადოქტორო დისერტაციასა და სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკაციაზე ვმუშაობდი, სიცხესა თუ ყინვაში, ხშირად ფეხით მისულხარ საჯარო ბიბლიოთეკაში, მოგიძიებია ჩემთვის საჭირო მასალები და მათი ქსეროასლები, ვრცელი ამონაწერები და ანოტაციები გამოგიგზავნია ჩემთვის რომში. შენ მომიმზადე ტერმინთა და ისტორიულ რეალიათა გლოსარიუმი იოანე საბანისძის „აბოტფილელის წამების“ ჩემეული იტალიური თარგმანისათვის; გლოსარიუმი, რომელიც მერე აღარ დამისტამბავს. შენვე მომიმზადე ქართველ წმინდანთა ლექსიკონი-ცნობარი, რომლის საფუძველზე სტატიები უნდა დამეწერა იტალიურენოვანი „წმინდანთა ენციკლოპედიის“ დამატებისათვის; არც ეს სტატიები დაბეჭდილა, ამჯერად „ენციკლოპედიის“ რედაქტორის არაკორექტულობის გამო. როდესაც რამდენიმე წლის წინათ მთარგმნელმა უპასუხისმგებლოდ გადაიღო რუსულად ჩემი და ქალბატონ თამარ ოთხმეზურის სტატია ელენე მეტრეველზე „პრავოსლავნაია ენციკლოპედია“-სათვის, ბატონი გოგი ვარძელაშვილის თანადგომით, ჩვენ თვითონვე მოვამზადეთ მისი რუსული რედაქცია და იქამდე ვერ დამშვიდდი, ვიდრე დედნის ყველა ნიუანსი ბარომეტრული სიზუსტით არ გადავიტანეთ რუსულად უზადოდ გამართულ ტექსტში. შენი ხელით ამიწყვე კომპიუტერზე მოთხრობა „კასანდრა“, რომელიც თავის დროზე საბჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი, გამოუქვეყნებელი დამრჩენოდა. იმაზეც კი იზრუნე, შენთვის ჩვეული სკრუპულოზურობით დაგეხარისხებინა და დაგეარქივებინა ყოველი ფურცელი და საბუთი, რომელსაც კი ჩემი ხელი ოდესმე შეეხებია.

შენ გამამხნევე, როდესაც სარტრის „კედლის“ თარგმანს შევეჭიდე და ზოგიერთ მოთხრობაში ნატურალისტური სიზუსტით აღწერილმა სექსუალურმა პასაჟებმა დამაეჭვა, წინ წავსულიყავი, თუ – არა. მითხარი, მათი აღწერა სარტრისთვის თვითმიზანი კი არ არის, ან ავადმყოფებს კი არ გვიხატავს, არამედ მწერალი ამით ადამიანური ფსიქოლოგიის ყველაზე ღრმა შრეების გამოვლენას ლამობსო. შენვე დამარწმუნე, აუცილებლად დამებეჭდა ჩემი სტატია „როდემდე კაცის კაცობა, ანუ „ქართველთა ზედა უცხოთა ხელმწიფება“?!“, რომელსაც ზოგიერთმა დღეს უკვე ლეგენდად ქცეულმა, ჩემთვის კეთილმოსურნე ისტორიკოსმაც კი საქართველოს მთელი ისტორიის განქიქება უწოდა. როდესაც 2007 წელს „საქართველოს რესპუბლიკამ“ იგი სამ ნაწილად დამისტამბა, მითხარი, დამაფიქრებელი სტატიაა.

რომელი ერთი გავიხსენო?! შენ უნდა გიმადლოდე ნებისმიერ ენაზე დასტამბულ თითოეულ სტრიქონს!

* * *

რამდენიმე წლის წინათ თვალის გადასავლებლად გამომიგზავნე შენი „პოსტსაბჭოთა საქართველო“, რომელიც შენს ბოლოდროინდელ სტატიებს ემყარებოდა. დაკაბადონებაზეც კი შენ გეზრუნა. წიგნის თითოეულ თავს რუსულ- და ინგლისურენოვანი რეზიუმეები ახლდა. მე რომ არ შეგეწუხებინე, სპეციალისტებისთვის გეთარგმნინებინა ინგლისურად ისინი, თუმცა, თარგმანი გვარიანად მოიკოჭლებდა. უამრავი რამ ჩავასწორე, მაგრამ ჩემს თავს მაინც ვერ ვენდე და ჩემს ლონდონელ კოლეგას ვთხოვე მათი ნელ-ნელა გასწორება. ამასობაში კი წიგნის ტექსტზე ტექნიკური მუშაობა დავიწყეთ.

როდესაც გითხარი, ზოგიერთ რამეში არ გეთანხმები, საქართველოს წარსულს დიდად აზვიადებ-მეთქი, შენი ჩვეული უბრალოებითა და ღიაობით მომიგე, რა პრობლემაა, მითხარი, რა არ მოგწონს და ავწონ-დავწონი, როდის იყო, სხვისი აზრისათვის ყური არ დამეგდოო.

ისიც მთხოვე, ნუ გავაჯანჯლებთ, მალე დავასრულოთ, სხვა გეგმებზე ფიქრი არ მასვენებსო. ვერ შეგისრულე თხოვნა და ჩემი პედანტობით გავაჯანჯლე, ხოლო ნაპირუპოვნელმა სევდამ, ამქვეყნად შენი არსებობის ბოლო თვეებში სული რომ გაგითანგა, გული ვეღარაფრისთვის, ვერც ამ ტიტანური შრომის ბოლომდე მისაყვანად დაგადებინა. წიგნი გამოუცემელი დაგვრჩა, ხოლო შენი გეგმები – განუხორციელებელი. რამდენი რამ დავკარგეთ ამით!

შენი წიგნი გასაოცარი მატიანეა პოსტსოციალისტური საქართველოსი. ფაქტების ღაღადია, თუ როგორ უგულოდ მოვეკიდეთ, ვერ ვუპატრონეთ, როგორ დავღუპეთ ისტორიის ქარტეხილებს გამოვლილი ჩვენი სამშობლო, რომელიც შეიძლებოდა, ეკონომიკურად წელგამართული, ჭეშმარიტად თვითმყოფი, თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლიანი ქვეყანა გამხდარიყო. „პოსტსაბჭოთა საქართველო“ წიგნი-გამოცხადებაა იმ უფსკრულში გადაჩეხვისა, რომლის პირზეც უკვე, კარგა ხანია, ვდგავართ. ამიტომ, თუ წიგნის პირველ ფურცლებზე ჯერ კიდევ კიაფობს იმედი ნათელი, მისი ბოლო გვერდები სულის გამთანგავი პესიმიზმით არის გაჟღენთილი.

შენი წიგნი მჭევრმეტყველი მოწმობაა სამშობლოზე თავგანწირვამდე შეყვარებული კაცის სულისშემძვრელი ტრაგედიისა; კაცისა, რომელიც ცხადად ხედავს, თუ რა ფუჭია ქვეყნის გადასარჩენად მარტოკაცთა მსხვერპლი ყოველი, ოდეს კაცთ მტილი თვისი გაუხდიათ სიცოცხლის ერთადერთ მიზნად და თავიანთი არსებობის უმწვერვალეს, შეუცვლელ საკურთხევლად შეურაცხავთ იგი. ასე მგონია, ჟამთააღმწერელი სწორედ ასეთ ისტორიას დაწერდა პოსტსოციალისტურ საქართველოზე.

თუ ჩვენს ქვეყანას გადარჩენა უწერია, შთამომავლობა შენს წიგნსაც ისეთი დიდი ტკივილითა და განცვიფრებით წაიკითხავს, როგორც დღეს „ასწლოვან მატიანეს“ ვკითხულობთ, ხოლო თუ გადარჩენა არ უწერია და ჩვენ ნაცვლად ჩვენს სამშობლოში სხვა ხალხი მოვა, მას წაიკითხავენ ცივი გონებით, უთანალმობოდ, მაგრამ – როგორც უკანასკნელ პირუთვნელ, დასაბუთებულ, ფუნდამენტურ, ცხადზე უცხადეს, ტრაგიზმამდე გააზრებულ მატიანე-ანალიზს ქართლის ცხოვრების უკანასკნელი დღეებისა.

შენ საქართველოს მოუკვდი, მამა!

შენი შვილი –

გაგა შურღაია,
საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტ „ლ'ორიენტალეს“ აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის კათედრის პროფესორი, რომის პაპის აღმოსავლური ინსტიტუტისა და ვენეციის წმინდა ბერნარდის სახელობის ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი

რომი. 2-3 ოქტომბერი, 2022 წ.

ფოტოები: გურამ ქიმერიძისა და გენადი სანაიასი

ᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲛᲐ ᲡᲢᲘᲥᲘᲐᲛ გადაუარა დასავლეთ საქართველოს – ჯერ იყო და არნახული სიცხე, შემდეგ – რამდენიმედღიანი ქარიშხალი, ბოლოს – გადაუღებელი წვიმები. მოსავლის აღება არ აცალა მშრომელ კოლხებს – ყველაფერი ერთიანად განადგურდა, 11 ოქტომბრის „ლაშაობა“ რამდენჯერმე გადაიდო ძლიერი წვიმების გამო. ლაშა გახარიას დაბადების დღე მაინც აღვნიშნეთ მეგობრებმა – ჩვენ-ჩვენებურად.

როგორც იქნა, ისეთი ამინდები დაიჭირა, როგორც ნამდვილ ზეიმს შეეფერება და აი... ნანატრი ზარიც ჩხოროწყუდან – გეპატიჟებით „ლაშაობაზე“ და ჩხოროწყუობაზე. უბედნიერესია ლაშას მეუღლე, ქალბატონი როზა ბერიკაშვილი, ეს ხომ რიგით მეცამეტე „ლაშაობაა“ – ოფიციალური, წელს ხომ ლაშა გახარია 75 წლისა შესრულდებოდა.

დათქმულ ადგილზე ვიკრიბეგით ლაშას მეგობრები, კოლეგები, მისი პოეზიის თაყვანისმცემლები, ბევრი უკვე, როგორც იტყვიან, „სტაჟიანები“ ვართ, ბევრი პირველად სტუმრობს „ლაშაობას“.

ჩხოროწყუში უნდა დაგვემატონ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი **მაყვალა გონაშვილი,** პოეტები **ლია ნაროუშვილი, ერეკლე საღლიანი, ლაშა გვასალია.** ისინი ორი დღის წინ გამართული შესანიშნავი ფესტივალის ინიციატორები და მონაწილეები გახლავან – პირველად ჩატარდა მეგრულ-ლაზურ-სვანური ფოლკლორისა და პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი, ხოლო ლია ნაროუშვილის ინიციატივით, რამდენიმე წლის წინ შექმნილ „ემიგრანტთა სახლ „ფესვების“ ბაღში გაიხსნა მეგრულ-აფხაზური ოდა-სახლი.

ყოველგვარი ტიტულატურის გარეშე – ლაშას მეგობრები – ბატონები **გიორგი გოგოლაშვილი, თამაზ ხმალაძე, გოჩა ხუნდაძე, ზაურ ნაჭყებია, თემურ ჟღენტი, ოთარ ფალიანი და მე** ყველა „ლაშაობის“ უცვლელი წევრები ვართ, პირველად მობრძანდებიან ცნობილი ფოტოხელოვანი **დემიკო ლოლაძე,** მწერლები და პოეტები **ციცი გურიელი, ბელა ალანია, თამარ შაიშმელაშვილი, ჯუბა ღებელი, ნიკა ტაბაღუა, თამარელა წოწორია.**

როგორც ყოველ „ლაშაობაზე“, ჩვენი შესანიშნავი პოეტი, და ჟურნალისტი, ლაშას სიყრმის მეგობარი, ქალბატონი **მარინა თექთუმანიძე** გვხელმძღვანელობს.

და... მივდივართ.

* * *

აქედან შემოგვყურებს ლაშას სურათი – ლამაზი სახისა და ლამაზი სულის ადამიანის, სევდიანი თვალებით. თითქოსდა დაფიქრებული, თითქოსდა მომღიმარი, სევდიანი სახით – ბევრისთვის ეს ადამიანი ძალზედ შინაურია – მეგობარი, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, აგრერიგად ნაცნობი და სულის მესაიდუმლე, ბევრისთვის ბავშვობის მოგონება, მისი მშობლიური ლაკადა, მუხურის არტახებიდან თავაშვებული, ფართოდ გაშლილი „ხოზწყარი“, ბევრისთვის დარდიმანდი, გაჭირვებაში გვერდით მდგომი, ფორიაქა სულისა და ზედმეტსიტყვაშეურჩენელი გულის კაცი, ბევრისთვის წარმატებული ჟურნალისტი, უბელო ცხენის მხედარივით ქართული სიტყვის მომრჯულებელი, „ლექსიშ ღობუის“ დიდოსტატი... დიახ, ეს კაცი ლაშა გახარიაა, ორმოცდათექვსმეტ წელში ჩარჩენილი დიდი ცხოვგით ლაშას ოდაბადეში, ლაკადის ულამაზეს მუხურში და აღვნიშნავთ „ლაშაობას“ – დღეს პოეზიისას, დღეს კაცისას, რომელმაც სოფელსაც არგო და სოფლის მადლიც იმადლა.

ყველაფერი კი ლაშა გახარიას გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, 2003 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის წმინდა დღეს დაიწყო, როდესაც ჩხოროწყუს კულტურის სახლის წინ გაიხსნა პოეტის ვარსკვლავი და რაიონის მაშინდელი გამგებლის ალექსანდრე პერტაიას საგანგებო გრძანებით რაიონის არსებობის მანძილზე ლაშა გახარია გახდა ჩხოროწყუს პირველი საპატიო მოქალაქე. სამწუხაროდ, ეს გრანდიოზული შეხვედრა-მოფერება-დაფასება უკანასკნელი აღმოჩნდა მაშინ უკვე უკურნებელი სენით დაავადებული პოეტის სიცოცხლეში და, საბედნიეროდ, სამარადჟამო...

სულს მისი ლექსი მიმშვიდებს...

ᲚᲐᲨᲐᲡ ᲓᲐᲓᲘᲗ ᲞᲐᲢᲘᲫᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲛᲔᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲝᲒᲣᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲛᲔ-20 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲘᲯᲣᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ 21-Ე ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲨᲕᲘᲐᲗᲘᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲢᲙᲑᲘᲚᲜᲘᲜᲓᲘᲡᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲦᲠᲛᲐᲓᲐᲓᲒᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ.

ᲚᲐᲨᲐ �გᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲝᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ – ᲬᲔᲠᲓᲐ ᲝᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ. ᲛᲐᲜ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲗᲛᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲐᲣᲙᲕᲚᲘᲐ ᲒᲖᲐ ᲛᲔᲒᲠᲣᲚ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲠ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲓᲐ �თᲣ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓᲐᲪ ᲪᲓᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲛᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲐ. ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲝᲠᲔᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲦᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲚᲐᲨᲐᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲛ ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲔᲡ ᲑᲘᲫᲒᲘ“.

ᲙᲝᲢᲔ ᲜᲐᲭᲧᲔᲑᲘᲐ

ლაშა გახარიას ოდაბადე – მეგრული ოდა, გახარიათა თბილი, მრავალრიცხოვანი ოჯახის სტუმართმოყვარე ბუდე, საიდანაც მთელი ხეობა ჩანს. თუთარჩელათი განათებულ ამ აივანზე უყვარდა ლაშას ჯდომა, უყვარდა საათობით ფიქრი, აქ იქმნებოდა მისი ყველასთვის საყვარელი და ცნობილი ლექსები, აქ ეახლებოდა მუზა...

მანამდე...

მანამდე იყო ბავშვობის წლები, რეპრესირებული და გაციმბირებული მუხურელი ვაჟკაცის, შესანიშნავი მეგრულენოვანი პოეტისა და სახალხო მთქმელის კაპიტონ გახარიას ოჯახში გატარებული, მშობლიური სკოლის წლები (ახლა რომ პოეტის სახელს ატარებს), დედაუნივერსიტეტი, ლამაზი ოჯახი, წლები თბილისური, სისხლსავსე და კაცთსავსე ქალაქისა, დიდი სიყვარული და თავდაუზოგავი შრომა ქართულ სიტყვასთან ჭიდილნაზიარევი, დიდი ტრაგედია შვილის დაღუპვით გამოწვეული და უკურნებელ სენად ქცეული მონატრება პაპუნა გახარიასი, შვილისა, რომელმაც ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, საგედნიეროდ, გვარის გამგრძელებელი დაუტოვა გახარიათა ჯილაგს, ხოლო „საბაქართულით“ მონათლული ზოსიმესეული ლოცვით გზა გაუგრძელა უკვდავებაში მამას.

„ლაშა გახარიას წარმოჩინებისთვის ბრძოლა მისი სიცოცხლის ბოლო წლებში დაიწყო. ბრძოლაო, ვამბობ... მართლაც. მიუხედავად იმისა, რომ პოეტურ წრეებში ძალიან პოპულარული იყო, ის მაინც „ზეპირი პოეტი იყო“, – იგონებს ლაშას სიყრმის მეგობარი, პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი პირველი პოპულარიზატორი, შესანიშნავი პოეტი, ჩხოროწყუს კოლორიტი კოტე ნაჭყებია, რომლის მეგობრისადმი მიძღვნილი თბილ სიტყვებს აქვე გთავაზობთ.

– დიახ, უწიგნო პოეტი იყო ლაშა გახარია, ათასობით შემოქმედთა შემფასებელი, მომფერებელი და მათი წიგნების კითხვით ღამენათევი. მახსოვს დედაუნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარებული ლაშასადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც მეგობართა დაუინებული თხოვნითა და მათივე ინიციატივით გაიმართა. მთელი საღამო კითხულობდა ლექსებს ლაშა, თავის სტიქიაში იყო, მონუსხული უსმენდა დარბაზი, ლაშა ხომ თავისი ლექსების უძლიერესი დეკლამატორი იყო, ახლა უკვე ათასობით ადამიანთაგან გამორჩეული, ვინც მის ლექსებს მართლაც შესანიშნავად კითხულობს. სწორედ ამ საღამოზე შეჰპირდა დამსწრეთ ლაშას სიყრმის მეგობარი, ამჟამად შესანიშნავი მეცნიერი, აკადემიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი ვალერი ასათიანი – პირობა მოგვეცი, ლაშა, მომავალ წელს ამ ლექსებს წიგნად გვაჩუქებ, გამოცემაში ჩვენ, შენი მეგობრები დაგეხმარებითო.

და ასე გაჩნდა „მუზის პაუზა“ – მეგობარი პოეტის ლია ნაროუშვილის რედაქტორობით, ვალერი ასათიანის წინასიტყვაობით, უნივერსიტეტელი მეგობრების თანადგომით დაისტამბა ლაშას მეგობრის, ყველასთვის ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და პუბლიცისტის პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობაში. ეს იყო ლაშას პირველი წიგნი, რომლის წარდგინებაც მწერალთა სახლში შედგა. მას კი მოჰყვა და მოჰყვა სხვადასხვა პრესტიჟულ გამომცემლობებში დასტამბული ლაშას წიგნები „99 და ერთი...“, „პოეტის ასი ლექსი“, „პოეტი მაინც... ერთი ლექსია“, „მეგრული პოეზია“, „ჭარაშითგეშა“ და სხვ. გამოიცა უამრავი წიგნი ლაშა გახარიას შემოქმედებაზე, სადაც პოეტისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, ლექსები, მოგონებებია თავმოყრილი.

ყველა წიგნი მაქვს ლაშას პოეზიისა, სატიტულო ფურცელზე სიყვარულით წაწერილი, სიყვარულითა და სევდით, რადგან ჩემი ლაშას სხვათაგან მხოლოდ ერთადერთი წარწერა გამაჩნია – **„მამუ, – უღრმესი მადლიერებით ვაწერ ხელს შენი ძმურხელითგადაწერილ ამ ნაცოდვილარს. ისე, შენ კი იცი, არამცთუ გადაწერა, ლექსის წერაც კი მეზარება ამ ბოლოჟამს. ტიციანისა არ იყოს, ვიცი, თუ დავწერე... ვინმე გადამწერს!.. შენი ლაშა გახარია. 26.8.2002 წ.**

დანარჩენი... დანარჩენს ამშვენებს ლაშას იმ წიგნთა რედაქტორების წარწერები, ვინც მისი წიგნები გამოსცა და ლაშას უშესანიშნავესი მეუღლის, მისი პოეზიისა და შემოქმედების მუზის, ლექსთა თავმომყრელის, შემგ-

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲝᲓᲐᲑᲐᲓᲔᲨᲘ

როზა ბერიკაშვილი და ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარე შოთა წურწუმია.

როვეგლისა და გამომცემლის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, უამრავი პრიზიორ-ჩემპიონის აღმზრდელის, სპორტის რაინდის, ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთი დედაბოძის, როზა ბერიკაშვილის უთბილესი წარწერები – **„მამუ, ამ წიგნს შენი ძმა უნდა გჩუქნიდეს!“...**

* * *

რამდენიმე წელია ჩხოროწყუს თავკაცებმა „ლაშაობის“ დღესასწაული მშობლიური ქალაქის დღეობის განუყოფელ ნაწილად აქციეს – ასე უფრო მოვეფერებით უამრავ სტუმარსო. პატივისცემა, დაფასება და სიყვარულის გამოხატვა არ ესწავლებათ კოლხებს, თავად ამ ცნების მასწავლებლებს. მაგრამ ამ ცამეტი წლის წინ, ვინც პირველად „ლაშაობის“ ინიციატორად მოგვევლინნენ, სწორედ მათ მინდა, ვუთხრა უდიდესი სიყვარულით მადლობა და გამოვხატო არა მარტო ჩემი, არამედ იმ ათასობით ადამიანის სამადლობელი, ვისაც უდიდესი სიყვარული და სითბო უგრძნია ამ ულამაზეს კუთხეში, ლაშა გახარიას ოდაბადეში. ესენი გახლავან ბატონები კოტე ნაჭყებია, ნუგზარ ჟვანია, გოჩა ლემონჯავა (მაშინდელი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე), დათო დარსალია, გიორგი და ირაკლი კაჭარავები, ალექსანდრე პერტაია (მაშინდელი რაიონის გამგებელი). განსაკუთრებული დაფასება ეკუთვნის ჩხოროწყუს მაშინდელ გამგებელს, ამჟამად ქალაქის მერს, ბატონ დავით გოგუას, რომელმაც ითავა და კეთილმოაწყო პოეტის სახლ-მუზეუმი, მრავალი წელია, მასპინძლობს უამრავ თაყვანისმცემელს ლაშა გახარიას პოეზიისა, რომელთა ლაშქარიც წლიდან წლამდე იზრდება. ამ ტრადიციას აგრძელებენ რაიონის ახალი თავკაცები – ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარე, შესანიშნავი პოეტი, ახალგაზრდა, ენერგიული კაცი შოთა წურწუმია, მისი მოადგილე დავით შენგელია, რომელიც უკვე რამდენიმი წელია, ჩვენი მასპინძელია ჩხოროწყუში, გულნაზ გახარია, გია ფირცხელავა და უამრავი ჩხოროწყუელი.

თამარ შაიშმელაშვილი პოეტის სახლ-მუზეუმში.

დიდი მადლობა მის უდიდებულესობა კოლხებს, რიგით მუხურელებსა და ჩხოროწყუელებს, რომელთა ოჯახის კარი მუდამ ღიაა ამ დღესასწაულის სტუმრებისთვის.

მამუკა ვაშაკიძე,
თბილისი-მუხური-ჩხოროწყუ-თბილისი!

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში 23 ოქტომბერს სახალხო დღესასწაული „ჩხოროწყუობა 2022“ აღინიშნა.

დღესასწაულის ფარგლებში, სოფელ მუხურში, ლაშა გახარიას სახლ-მუზეუმში პოეტის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი დათო გოგუა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ლაშა გახარიას ოჯახის წევრებთან, პოეტებთან, პოეტის მეგობრებთან, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებთან ერთად დაესწრო.

სახლ-მუზეუმის ეზოში ჩატარდა მეგრული სამზარეულოს მასტერკლასი, გაიმართა კონცერტი. ადგილობრივი ანსამბლებისა და ჯგუფ „ურსას“ მონაწილეობით, დაჯილდოვდნენ საპატიო ჩხოროწყუელები.

გაიმართა სახალხო სეირნობა, მეგრული სამზარეულოს მასტერკლასი, ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, ხელნაკეთი აქსესუარებისა და ადგილობრივი რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა.

ოფიციალური ინფორმაცია

„შვიდფერი მუზის გახსნა“ (პოეტები თამარელა წოწორია და მარინა თექთუმანიძე)

ჩხოროწყუში გადავინაცვლეთ, სადაც ჩვეული, მეგრული გულუხვობითა და სტუმართმოყვარეობით გაგვიმასპინძლდნენ დიდებული კოლხები.

ბიბლიოთეკაში კი, სადაც მრავალი წლის წინ შექმნილი ლიტერატურული წრე, „შვიდფერი მუზა“ აღდგა კოტე ნაჭყებიას თაოსნობით, დიდი სიურპრიზი მელოდა. უზომოდ გამიხარდა ქართული ეროვნული სინდისის, კომუნისტების მიერ დევნილი, ზვიადისა და მერაბის თანამებრძოლის, ედემ კვირტიას ნახვა.

კაცი, რომელსაც საკუთარი კეთილდღეობისთვის არასოდეს უზრუნია და ყველაფერი, სიცოცხლის ჩათვლით, საქართველოსთვის უნდა. დაუვიწყარი დარჩება ეს შეხვედრა.

მარინა თექთუმანიძე

მას ლექსი წერდა...

„ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით ყველა ნაგებულ ომის მოგებას“! – წერდა ლაშა გახარია.

ხომ დიდებული სტრიქონია?

ვინ, თუ არა მისმა მეგობრებმა თუ კოლეგებმა იციან, როგორი ხალასი ნიჭით იყო დაჯილდოებული უფლისგან ეს მადლმოსილი კალმოსანი. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა – **ნუგზარ ჟვანიამ** პოეტის 75-ე წლისთავზე გაგვახარა ძვირფასი თანამედროვისადმი მიძღვნილი ჭეშმარიტად სამაგიდო კრებულით „მოგონებები ლაშაზე“, რომლის წინათქმაშიც ვკითხულობთ:

...„ნეტავ ახლა იყოს ცოცხალი. რამდენ შედევრს შემატებდა ქართულ პოეზიას...

წავიდა და თან გაიყოლა ვეებერთელა სევდა, სინანული, გულისტკივილი, უზომოდ დიდი მონატრება...

მუხურში, კუჭუხაზე სურდა დაკრძალვა.

უფალმა ასე არ ინება.

საგურთალოს სასაფლაოზე შვილის – პაპუნას გვერდით სძინავს სამუდამოდ.

მისი გარდაცვალებით თითქოს გაიყინა სამყარო, გაჩერდა დრო, თითქოს კუჭუხაზე მაფშალიებმა შეწყვიტეს გალობა, თუთარჩელა არ ჩანს ცის კაბადონზე.

...ვიფიქრე, დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, მოგონებათა მცირე კრებული შემედგინა, ცალკე წიგნად ამეკინძა და ლაშას შემოქმედების მოყვარულთათვის საიუბილეოდ მესახსოვრა.

ცოტანი ვართ დარჩენილნი მისი მეგობრები. ვინ იცის, შემდგომ მრგვალ თარიღს როგორ შევხვდებით“...

ავტორს სულ რამდენიმე ქვეთავში ჩაუტევია სათქმელი, რომლებიც ძარღვიანად წარმოაჩენს თხემით ტერფამდე ნაღდი, სიტყვაამღერებული, დარდიმანდი მოლექსის პიროვნებას, ნაღვაწსა თუ მამულიშვილობას: „პოეტი პოეტების ოჯახიდან“, „მეგრული ლექსი – ქართულის ტოლ-სწორი“, „ლამაზი დღე, ანუ პოეზიის საღამო რესტორანში“, „ლაშა და სპორტი“, „მურმან ლეგანიძის ერთი ლექსის შესახებ“. ცალკე სასაუბრო თემაა ლაშასა და მისი მეუღლის – როზა ბერიკაშვილის განსაკუთრებული სიყვარული, აგრეთვე წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების მეგობრობა.



დასკვნა: ლაშას პოეზია ერთი დიდი აკიდოა, რომელსაც მტევნებად ასხია მშვენიერი ლექსები. მომავალში კიდევ ბევრი დაიწერება მის შემოქმედებაზე, მის რომანტიკულ თუ ტრაგიზმით სავსე ცხოვრებაზე. მასზე მოსაგონარს რა გამოლევს.

ლაშას შემოქმედება ცოცხალია, მისი პოეზია მარადჟამს იკაშკაშებს ქართული ცის კაბადონზე.

დასტურ, რომ ასეა, ბატონო ნუგზარ!

დასტურ, რომ ასეა, ლაშა გახარიას უკვდავი პოეზიის თაყვანისმცემელნო!

გია პლატონიშვილი

◎ ჩემპიონთა ლიგა

„დინამოს“ აჩრდილი

მართალია, უკვე შორეული 1979 წლის შემოდგომაზე თბილისის „დინამომ“ „ბითლზების“ ქალაქში ჩემპიონთა თასის გათამაშების საწყისი ეტაპის პირველი რაუნდი წააგო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში მრისხანე მეტოქე 4:2 დაამარცხა და ჩვენი სახელოვანი კლუბის ისტორიაში მორიგი საამაყო ფურცელი ჩაიწერა.

დაახლოებით იგივე შედეგით დასრულდა „ენფილდზე“ **ხვიჩა კვარაცხელიას** ვიზიტიც — მასპინძელთა 2:0 გამარჯვების მიუხედავად, საკუთარ კვარტეტში პირველი ადგილი „ნაპოლიმ“ დაიკავა, რადგან ჯგუფური ტურნირის სასტარტო მატჩი იტალიელებმა 4:1 მოიგეს და პლეი-ოფში, რომლის წილისყრაც ორშაბათს მოეწყობა, საპასუხო შეხვედრას შინ გამართავენ.

რაც შეეხება „კვარას“, მან რამდენჯერმე ამჯერადაც შეძლო არნოლდის გაბითურება, ერთ ეპიზოდში გერმანელ მსაჯ შტიბერს პენალტის დასანიშნავი საბაბიც მისცა, ხოლო შესვენების შემდეგ მილიმეტრებიანი თამაშგარე მდგომარეობის გამო ვიდეოგამეორებების სისტემამ საგოლე გადაცემა გაუუქმა.

სხვათა შორის, სტუმრებმა ორივე ბურთი მინდვრიდან ქართველი ლეგიონერის გასვლის შემდეგ გაუშვეს.

დავძენთ, რომ ლუჩანო სპალეტის გუნდი აპენინების მესამე წარმომადგენელია, რომელმაც ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ხუთივე პირველი ბრძოლა მოიგო ფაბიო კაპელოს გაწვრთნილი „მილანისა“ (1992-1993) და „იუვენტუსის“ (2004-2005) შემდეგ.

ასე რომ, მერვედფინალისტთაგან 4-4 წარმომადგენელი ჰყავთ ინგლისსა („სიტი“, „ჩელსი“, „ლივერპული“, „ტოტენჰემი“) და გერმანიას („ბაიერნი“, „დორტმუნდი“, „ლაიფციგი“, „აინტრახტი“), 3 — იტალიას („ნაპოლი“, „მილანი“, „ინტერი“), 2 — პორტუგალიას („ბენფიკა“, „პორტუ“) და თითო-თითო — საფრანგეთს („პარი სერ-ჟერმენი“), ბელგიას („ბრიუგე“) და ესპანეთს („რეალი“).

სწორედ პრიმერა-დივიზიონის კლუბების უსუსური თამაშია წლევანდელი გათამაშების მთავარი სენსაცია, რადგან ჯგუფში ჩარჩნენ „ბარსელონა“ (ზედიზედ მეორედ), „სევილია“ და „ატლეტიკო“. ეს უკანასკნელი, კატალონიელთა და ანდალუზიელთაგან განსხვავებით, ევროპის ლიგაზეც კი ვეღარ გამოვა.

რადგან მოულოდნელობები ვახსენეთ, ისიც სათქმელია, რომ 5 წაგებით „იუვენტუსიც“ შერცხვა (პირველად).

ამ დღეებში გამოვლინდა სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბი. კოლუმბიის ქალაქ კილში გამართულ ბრაზილიურ ფინალში „ფლამენგომ“ 1:0 სძლია „ატლეტიკო პარანაენსეს“ (ბარბოსა) და მესამედ დაეუფლა ლიბერტადორეს თასს.

◎ ბრძენთა თამაში

გერმანიაშიც - ქართულად

საერთაშორისო ოსტატი **დავით ლობჟანიძე** პროფესიით ექიმია, მაგრამ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო მალევე დაუბრუნდა გატაცებას და სამშობლოდან შორს დაფუძნდა.

არადა, 18-წლამდელებში ქვეყნის ჩემპიონი მაშინდელ საკავშირო ათეულშიც მოხვდა, დამოუკიდებლობის პერიოდში ეროვნული პირველობის უმაღლეს ლიგაში მე-4 ადგილიც კი დაიკავა და დიდოსტატის ნორმა ორჯერ შეასრულა.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გერმანიაში, ბელგიასა და ჰოლანდიაში იქაურ საკლუბო ჩემპიონატებში ითამაშა და ფრანკფურტის, ვისბადენის, ერფურტის, ზიბენლენისა და გრონინგენის ტურნირები მოიგო.

მართალია, გერმანიაში მისი დიპლომი ცნეს, მაგრამ საჭადრაკო სამყაროში უფრო კარგად იცნობდნენ და დრეზდენში საქსონიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, საბოლოო არჩევანი ბრძენთა თამაშის სასარგებლოდ გაეკეთებინა და, როგორც ფიდეს ლიცენზიის მფლობელი, უკვე სამჯერ აღიარეს გერმანიის საუკეთესო მწვრთნელად.

ბუნებრივია, დაფასება ჰაერიდან არ მოსულა, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობასთან ერთად ჩვენი ძვირფასი თანამემამულე წარმატებით იყენებს ქართული საჭადრაკო სკოლის მეთოდოლოგიასაც, რაც მის .შეგირდებს სტრატეგიული აზროვნების ჩამოყალიბება-გაუმჯობესებაში ეხმარება.

შედეგებიც სახეზეა — მოღვაწეობის დასაწყისში უნიჭიერეს ქართველ დიდოსტატ დავით ბარამიძესთან თანამშრომლობიდან მოყოლებული მისმა მოსწავლეებმა ადგილობრივ პირველობებზე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში 12 ოქრო მოიპოვეს, ხოლო ახალგაზრდულ ფორუმებზე უმაღლესი სინჯის 32 ჯილდო მოიხვეჭეს.

დრეზდენისა და ბაქოს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებსა და ევროპის ოთხ გუნდურ ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კაპიტნის აღზრდილები არიან აგრეთვე მისი გუნდის ლიდერი ელიზაბეტ პეტცი, რომელსაც კარგახანს ინტენსიურად ავარჯიშებდა და ფალკო ბინდრიხი, რომელიც 16 წლის ასაკში გახდა დიდოსტატი და გერმანიის ყველა რეკორდი მოხსნა. გვწამს, რომ გაგრძელება იქნება...

◎ ახალ ამპლუაში

ყველანი საჭესთან!

მოდელმა **ირინა ონაშვილმა** ისინიც კი გააოცა, ვისაც მის კარგ მძღოლობაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია. საუბარია საფრანგეთის ქალაქ მარსელში, ფორმულა 1-ის ტრეკზე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც ქართული შოუ-ბიზნესის პოპულარულმა წარმომადგენელმა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტთან **მევლუდ მელაძესთან** ერთად დისტანცია მესამე ადგილზე დაასრულა და ავტორბოლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

„ეს ყველაფერი მევლუდ მელაძის დამსახურებაა. მადლობა მას ნდობისთვის და ყველას ამდენი მოლოცვისთვის.

აგაფორიაქეთ, მაგრამ გპირდებით, რომ ამას მეტჯერ აღარ ვიზამ. ქალებო, გზა ხსნილია, ახლა თქვენ იცით. ბევრი ქალი ავტოსპორტში!“ — ამბობს ბედნიერი მედალოსანი.

პუტინის განკარგულებით საქართველოსთან შესაძლოა პირდაპირი ავიამიმოსვლა აღდგეს!

რუსული მედიის ცნობით, პუტინმა რუსეთის მიმართ მეგობრულად განწყობილ ქვეყნებთან საჰაერო მიმოსვლის შესახებ წინადადებების შემუშავება და ამ ქვეყნების მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დაწესება მოითხოვა.

„რუსეთის ფედერაციის მთავრობამ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურთან ერთად, უნდა მოამზადოს და წარადგინოს წინადადებები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომლებიც ქვეყანაში ტურისტული, საქმიანი, საგანმანათლებლო მიზნებით ან სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად შემოვლენ“, — ნათქვამია კრემლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინსტრუქციაში.

პუტინმა ასევე ბრძანა, რომ მომზადდეს წინადადებები საჰაერო მგზავრობის მოცულობის გაზრდის შესახებ რუსეთსა და იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც რუსეთის მიმართ არამეგობრულად განწყობილ ქვეყნების სიაში არ არიან შეყვანილი. როგორც ცნობილია, საქართველო ამ სიაში არ არის. **მთავრობამ აღნიშნული წინადადებები 2023 წლის 1 ივნისამდე უნდა წარადგინოს.**

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 8 ივლისიდან, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ რუსეთის მოქალაქეთა დაცვის მოტივით სპეციალური განკარგულება ამოქმედდა, რომლის შედეგადაც საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა აიკრძალა. ავიაემბარგომდე რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით ფრენებს Ural Airlines-ი, Aeroflot-ი, S7, Red Wings-ი, Pobeda Airlines-ი და Smartavia ასრულებდნენ. საქართველოდან რუსეთში კი Georgian Airlines-ი და Myway Airlines -ი დაფრინავდნენ. 2022 წლის მარტში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტების კითხვის პასუხად განაცხადა, რომ რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენის საკითხზე კონკრეტული პირების განცხადებას მნიშვნელობა არ აქვს და რომ ოფიციალურ კომუნიკაციას უნდა დაველოდოთ.

„დაველოდოთ, რა იქნება. ეს მარტივი საკითხი არ არის, გვესმის საკითხების მგრძნობიარობა. ძალიან ფრთხილები ვართ. ასევე ფრთხილები ვიქნებით გადაწყვეტილების მიღებაში“, — განაცხადა მაშინ ლევან დავითაშვილმა. დავითაშვილმა აღნიშნული განმარტება რუსეთის დუმის დეპუტატის სერგეი გავრილოვის განცხადების შემდეგ გააკეთა, რომელმაც თქვა, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს არჩეულ კურსს და არ შეუერთდება დასავლეთის სანქციებს, რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენა შესაძლებელი იქნება.

თუ ჰუმანიტარულ დერეფანს სამხედრო მიზნებისთვის არ გამოიყენებენ

„რუსეთი იტოვებს უფლებას, გავიდეს „მარცვლეულის შეთანხმებიდან“, თუ უკრაინის მხრიდან გარანტიები დარღვეული იქნება“, — ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. პუტინის თქმით, უკრაინამ ჰუმანიტარული დერეფანი რუსეთის შავი ზღვის ფლოტზე თავდასხმის მცდელობისთვის გამოიყენა. მისი თქმით, რუსეთმა უკრაინული მხარისგან მოითხოვა გარანტიები, რომ ჰუმანიტარული დერეფნების სამხედრო მიზნებისთვის გამოყენება არ მოხდება. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, საკითხის დარეგულირებაში შუამავლობა თურქეთმა შეასრულა. თურქული მხარისგან რუსეთმა მიიღო ინფორმაცია, რომ უკრაინამ ასეთი გარანტია გასცა.

სანქციების მიუხედავად, რუსული ნავთობი აშშ-ში იგზავნება

რუსულმა კომპანია „ლუკოილმა“ საერთაშორისო სანქციების დარღვევის გარეშე აშშ-ში თავისი ნავთობპროდუქტების გაყიდვის გზა გამონახა.

„სიცილიაში მდებარე ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა, რომელსაც რუსული ნავთობისა და გაზის გიგანტი „ლუკოილი“ ფლობს, რუსული ნედლი ნავთობის გადაზიდვის ფუნქციას ასრულებს, რომელიც საბოლოო ჯამში აშშ-ში ხვდება საწვავისა და სხვა გადამუშავებული ნავთობპროდუქტების სახით“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

აღნიშნულია, რომ ეს შესაძლებელი გახდა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზით, რომელიც აშშ-სთვის რუსული ნედლეულის მიწოდებას უშვებს „უცხოურ პროდუქტად გადაქცევის“ პირობით. იმის მიუხედავად, რომ სიცილიაში გადამუშავებული ნავთობის 90 პროცენტზე მეტი რუსეთიდან შედის, საბოლოო პროდუქცია უკვე იტალიურად მიიჩნევა და მისი ექსპორტი თავისუფლად არის შესაძლებელი. მიმდინარე წლის მარტიდან აშშ-ში 5 მლნ ბარელი ნავთობპროდუქტი გაიგზავნა, რაც საკამრისია 7 მლნ ავტომობილის ავზის შესავსებად. სიცილიაში რუსული ნავთობი კომპანია „სოვკომფლოტის“ ტანკერებით გადაიზიდება, რომელიც აშშ-ის მიერ არის სანქცირებული. ამ კომპანიის ხომალდების ყოფნას იტალიაში ადასტურებს უამრავი სატელიტური ფოტოც. აღსანიშნავია, რომ კომპანია „ლუკოილი“ „გაზპრომისგან“ განსხვავებით, არ იყო შეტანილი ამერიკის სანქციათა სიაში და ის ამ დრომდე თავის პროდუქციას 11 შტატში ყიდის.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი

გადაწყვეტილება

არბიტრაჟის სახელით სარეზოლუციო ნაწილი

საქმე №01-147/2022

ქ. თბილისი **24 ოქტომბერი, 2022 წელი**

საარბიტრაჟო სხდომის თავმჯდომარე – მამუკა ღვინიაშვილი
რეგისტრატორი – ქეთევან დუმბაძე
მოსარჩელე – ს/ს „ლიბერთი ბანკი“ (ს/ს ,,ვითი-ბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლე)
წარმომადგენელი – ნინო გელაშვილი, გია ჩახ-ნაშვილი
მოპასუხე – შპს „საოჯახო ფერმა 2016“, შპს „დავიდე“, შპს „ევრო დიზაინი“, დავით ჭუმბურიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, ნოდარ ხაბაიძე, ხან კაშიში, გოჩა ცომაია, მუჰამმად შაბაბ ხანი და გელა ალავერდაშვილი
წარმომადგენელი – დავით ხარატი
დავის საგანი: თანხის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

ვიხელმძღვანელე საქართველოს საარბიტრაჟო პა-ლატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-9, 28-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე:

1. ს/ს „ლიბერთი ბანკის“ საარბიტრაჟო სარჩე-ლი დაკმაყოფილდეს.

2. შპს „საოჯახო ფერმა 2016“, შპს „დავიდეს“, შპს „ევრო დიზაინს“, დავით ჭუმბურიძეს და ზურაბ ჭუმ-ბურიძეს ს/ს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ სო-ლიდარულად დაეკისროთ 807604.86 ლარის გადახ-და, საიდანაც 643392.72 ლარი არის ძირითადი თან-ხა, 149264.87 ლარი პროცენტი, 14947.27 ლარი პირ-გასამტეხლო. მათვე სოლიდარულად დაეკისროთ საა-რბიტრაჟო მოსაკრებლის 17544.60 ლარის გადახდა ს/ს „ლიბერთი ბანკის“ სასარგებლოდ.

3. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დად-გინდეს:

3.1 შპს „საოჯახო ფერმა 2016“-ის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული შემდეგი უძრა-ვი ნივთების რეალიზაცია აუქციონზე:

3.1.1 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.089);

3.1.2 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.114);

3.1.3 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.116);

3.1.4 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.058);

3.1.5 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.107);

3.1.6 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.082);

3.1.7 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.085);

3.1.8 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.088);

3.1.9 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.076);

3.1.10 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.093);

3.1.11 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.023);

3.1.12 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.032);

3.1.13 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.077);

3.1.14 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.027);

3.1.15 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.043);

3.1.16 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.075);

3.1.17 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.024);

3.1.18 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.005);

3.1.19 მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.003);

3.2 ხან კაშიშის (C/N:Z4450436) საკუთრებაში არ-სებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის, მდებარე მარტვილი, სოფელი ნაჯახაო (ს.კ 41.03.35.025) რეა-ლიზაცია აუქციონზე.

3.3 შპს „დავიდეს“ საკუთრებაში არსებული იპო-თეკით დატვირთული შემდეგი უძრავი ნივთების რეა-ლიზაცია აუქციონზე:

3.3.1 მდებარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.527);

3.3.2 მდებარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.543);

3.3.3 მდებარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.549);

3.3.4 მდებარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.546).

3.4 ნოდარ ხაბაიძის საკუთრებაში არსებული იპო-თეკით დატვირთული უძრავი ნივთის, მდებარე ქ. თბი-ლისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.545) რეალიზაცია აუქციონზე.

3.5 გოჩა ცომაიას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის, მდებარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.010გ) რეალიზაცია აუქციონზე.

3.6 მუჰამმად შაბაბ ხანის (C/N:UL4109724) სა-კუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძ-რავი ნივთის, მდებარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრა-ძის ქუჩა №18, სართული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.551) რეალიზაცია აუქციონზე.

3.7 გელა ალავერდაშვილის საკუთრებაში არსე-ბული იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის, მდე-ბარე ქ. თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა 18, სარ-თული I (ს.კ 01.19.36.014.567.01.02.553) რეალიზაცია აუქ-ციონზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგნების რეა-ლიზაციით სრულად არ დაკმაყოფილდება ს/ს „ლი-ბერთი ბანკის“ მოთხოვნა, აღსრულება მიექცეს შპს „საოჯახო ფერმა 2016“, შპს „დავიდეს“, შპს „ევრო დიზაინს“, დავით ჭუმბურიძეს და ზურაბ ჭუმბური-ძეს საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე.

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოტანის მო-მენტიდან.

20 წელი უდანაშაულოდ, გუანტანამოს ციხეში...



75 წლის პაკისტანელი კაცი, რომელიც გუან-ტანამოს ყველაზე უფროსი პატიმარი იყო, გა-ათავისუფლეს და იგი სახლში დაბრუნდა, – ამ-ის შესახებ ინფორმაციას უფლებადამცველი არას-ამთავრობო ორგანიზაცია Reprieve-ი ავრცელებს.

არასამთავრობო ორგანიზაციის ცნობით, საიფ-ულა პარაჩა თითქმის 20 წლის განმავლობაში იყო დაკავებული.

პარაჩა 2003 წლიდან ალ-ქაიდასთან კავშირში იყო ეჭვმიტანილი, მაგრამ მისთვის დანაშაულში ბრალი არასდროს წარუდგენიათ.

„ეს დიდი გამარჯვებაა, თუმცა 75 წლის საიფულა პარაჩა თავის ოჯახს სუსტ მოხუც კაცად უბრუნდე-ბა. ეს უსამართლობა ვერასდროს გამოსწორდება“, – წერს ორგანიზაცია „ტვიტერზე“.

საიფულა პარაჩა, რომელიც აშშ-ში ცხოვრობდა და ქონებას ნიუ-იორკში ფლობდა, მდიდარი პაკის-ტანელი ბიზნესმენი იყო.

ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ის ალ-ქაიდას ფასილიტატორი იყო, რომელიც ფინანსურ ტრან-ზაქციაში დაეხმარა ორ შეთქმულს, მონაწილეობ-და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ თავდას-ხმაში. პარაჩა ამტკიცებდა, რომ არ იცოდა ამ პირების ალ-ქაიდასთან კავშირის შესახებ და უარყოფდა ყო-ველგვარ შეხებას ტერორიზმთან.

„ის გადაიყვანეს ბაგრამის ავიაბაზაზე, რომელიც ცნო-ბილია დაკავებულთა საშინელი წამებით. ერთი წლის შემ-დეგ კი ის გუანტანამოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა აშშ-ში პატიმრობის დროს. 2021 წლის მაისში აშშ-ის უსაფრთხოების სააგენტოებმა მის გათავისუფლებას ნება დართეს, მაგრამ მხოლოდ ახლა გაათავისუფლეს“, – აღნიშნავს ორგანიზაცია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

განცხადება

4 ნოემბერი 2022

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ვაკანსიას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ასარჩევად შემდეგ სპეციალობაში:

სპეციალობა	ვაკანსია
აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება	
მებაღეობა, მევენახეობა	1

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძ-ლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერებათა დოქტორის, დოქტორის აკადემიური ხა-რისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხა-რისხის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორი-სო დონის წვლილი აქვს შეტანილი აგრარული მეც-ნიერების განვითარებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კან-დიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზო-გადოებებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარ-მოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგ-ზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, სა-ქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკა-დემიის ან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის (წევრების), სამეცნიერო ტრადი-ციების მქონე ინსტიტუტების, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლებისა და სამეცნიე-რო საზოგადოებების წარდგინება სათანადო დასა-ბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4X6 (2 ცალი), სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლო-მის ასლი (დამოწმებული ნოტარიულად), მონაცემე-ბი შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვა-ლი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნი-ერო მოღვაწეობის შეფასება (დოკუმენტები წარმოდ-გენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, საჭიროების შემ-თხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი).

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის მიი-ღება (იგზავნება) საქართველოს სოფლის მეურნეო-ბის მეცნიერებათა აკადემიაში. განცხადებები მიი-ღება 2022 წლის 4 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვ-ლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ი. ჯა-ვახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნე-ობის მეცნიერებათა აკადემია (კანცელარია, ტელე-ფონი: 2 94 13 21). საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 10 საათიდან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნე-ობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე (www.gaas.dsl.ge), რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შე-საძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეც-ნიერებათა აკადემიაში (ტელეფონი: 2 96 03 00).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

სამშობლოს „მაჯაშისა შემტყობარი“...

შენ არასოდეს დაგვიწყნია გამომშვიდობება, თუნდაც, უცაბედი შეხვედრის შემდეგ. ორმოცი დღის წინათ კი იმ სოფლად გამგზავრების კვირაძალს, არათუ გამოგვემშვიდობე, თავს ისე კარგად ვგრძნობ, გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც გვერდში მედგა და მამხნევებდაო! თურმე...

მეტისმეტად ხშირად გაიგონებთ: სიცოცხლეში ნაკლებად ვაფასებთ, მოკვდება და – ვაი, რა კაცი დავკარგეთო!

ჩემი დაკვირვებით, ყველაზე არ ითქმის ეს. უმეტესად, სიტყვის სამშვენისად იყენებენ.

თუ ვინმეზე ნამდვილად ითქმის, რაღა თქმა უნდა, შენზე!

ჩემო ომარ, ჩემო ძმაო და ნათლიმამავ, მე რომ შენთვის „გამესწრო“, დარწმუნებული ვარ, ამ აზრს შენ უფრო ლამაზად გამოხატავდი! მაგრამ, ვაი, რომ შენ ისულსწრაფე!

როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მის მიერ განვლილ ცხოვრებას, მის ნამოღვაწარს, რეალური ფასი მერე ედება!

ეს შეხედულება კიდევ უფრო განმიმტკიცდა მაშინ, როდესაც შენი (და არა მარტო შენი, მთელი ქვეყნის!) საამაყო შვილის, იტალიაში მოღვაწე მეცნიერი ფილოლოგისა და მწერლის, პროფესორ გაგა შურღაიას განსაცვიფრებელი ეტიუდი წავიკითხე შენზე. **(ლაპარაკია წერილზე, რომელიც დღეს გაზეთის მე-6-7 გვერდებზე იბეჭდება)**.

თურმე, რაოდენ ძნელი, ლამის შეუძლებელიც ყოფილა ჭეშმარიტად დიდის ახლოდან დანახვა!

ეტყობა, პერსპექტივაში დანახვის უნარის მქონე ისეთივე იშვიათობაა, როგორც – ამ „დიდის“ არსებობა!

ბედს ვემადლიერები იმისათვის, რომ ჩვენი, როგორც თანაჯგუფელების, მეგობრობა ნათელ-მირონობამ კიდევ უფრო გაამყარა.

ამავე დროს, ძალიან მაკვირვებდა შენი, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწის, საქციელი – როცა სიამოვნებით წამყევი სოფელში, ქლიბით გადაულესე თოხს პირი, ფაფანაკი დაიხურე და „ჩემთან ერთად“ თოხნიდი სიმინდის ყანას. ამის შემხედვარე გლეხები, ვინ იცის, გულში ფიქრობდნენ: ნამდვილად გვატყუებს “გრიგორიჩი“, შევარდნაძის თანაშემწე თოხზე ხელის შემხებიაო?!

ბოლოს კი, რაც მთავარზე უმთავრესია: შენ იყავი ნამდვილი პატრიოტი, დღევანდელი სამშობლოს „მაჯაშისა შემტყობარი!“

დაუვიწყარი რეზო თაბუკაშვილი ბრძანებს, პატრიოტობა პროფესია კი არა, პროფესიონალიზმიაო. ყოველი შენი ცხოვრებისეული ნაბიჯი ამ დევიზის ტვიფარით იყო აღბეჭდილი. დღევანდელ საქართველოში ორასზე მეტი პოლიტიკური პარტიის ყოველი წევრი, გულზე ხელების ბრაგუნით გვარწმუნებს, პატრიოტები ვართო!

თუ რა როგორ არის ახლა ჩვენს გატანჯულ სამშობლოში, ამის შესახებ მშვენივრად გვიყვება შენი ცხოვრების მთავარი წიგნი – „პოსტსაბჭოთა საქართველო“, რომელსაც, იმედია, სულ მალე იხილავს მკითხველი.

ყველაფერ დანარჩენზე მერე, ზეციურ საქართველოში თავშეყრისას ვისაუბროთ!

ამ სოფლად და იმ სოფლადაც, –

შენი

გიზო ზარნაძე

15 ოქტომბერი, 2022 წ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ გიზო ზარნაძეს ძვირფასი მეუღლის

ლია არაბიძის

გარდაცვალების გამო.

ზედიზედ ორჯერ გაუმართლა

აშშ-ში 70 წლის ქალმა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა, ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მომენტალური ბილეთი იყიდა და ზედაპირის გადაფხეკის შემდეგ აღმოაჩინა, რომ 100 000 დოლარი მოიგო. ის კომპანიის შტაბ-ბინაში მოგებული თანხის მისაღებად მეგობართან ერთად წავიდა.

სახლისკენ გზაზე მან მოგების აღსანიშნავად ისევ ბენზინგასამართ სადგურზე 3 ბილეთი იყიდა და 300 000 დოლარი მოიგო. როგორც გამარჯვებული ამბობს, მიღებულ თანხას პენსიაზე გასვლის შემდეგ დახარჯავს.

სკაილენი 10 ათას მეტრ სიმაღლეზე დაიბადა

ამერიკელ ქალს, რომელიც თვითმფრინავით დომინიკის რესპუბლიკაში მიემგზავრებოდა, მოულოდნელად მშობიარობა დაეწყო. 21 წლის კენდრია როდენი ორსულობის 32-ე კვირაში იმყოფებოდა და ვარაუდობდა, რომ უახლოეს პერიოდში იმშობიარებდა.

ქალი სამოგზაუროდ ოჯახთან ერთად მიემგზავრებოდა. თვითმფრინავის აფრენიდან 34 წუთის შემდეგ კენდრიამ წყლები დაღვარა და ტკივილები დაეწყო. ქალის დამ მაშინვე ეკიპაჟის წევრებს დაუძახა, მათ კი მგზავრებს შორის სამედიცინო განათლების ან სპეციალური უნარების მცოდნე პირების მოძიება დაიწყეს. საბოლოოდ, კენდრიას მშობიარობაში 4 მგზავრი დაეხმარა. ქალმა 20 წუთში იმშობიარა, ახალშობილს კი **სკაილენი** დაარქვეს.

ყველაზე ძვირი სმარტფონი

iPhone 14 Pro Max ბაზარზე ყველაზე ძვირი სმარტფონია. თუმცა, ეს ფასი არაფერია APPLE-ის სმარტფონის ფლაგმანის ახალ ვერსიასთან შედარებით, რომელსაც უკან Rolex-ის საათი აქვს მიმაგრებული.

ბრენდ Caviar-ის დიზაინერებმა საზეიმოდ წარადგინეს მდიდრული სმარტფონი, რომელსაც უკან როლექსის საათების ერთ-ერთი მოდელი Cosmograph Daytona აქვს მიმაგრებულ. საათი ყვითელი ოქროსგანაა დამზადებული და 8 ბრილიანტი აქვს. სმარტფონის ამ ვერსიას დიზაინერებმა Daytona უწოდეს. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი საკმაოდ მაღალი ფასით გამოირჩევა. მისი ღირებულება 123 420 დოლარია. სმარტფონის Daytona კორპუსის ძირითადი ნაწილი ტიტანის შავი მეტალით არის დაფარული, იმავე მასალით, რითაც როლექსის შავი დეტალები, „ქეისები“ და სამაჯურები მზადდება.

იყიდება კონსტიტუციის უიშვიათესი ნიმუში...

კერძო კოლექციაში დარჩენილი აშშ-ის კონსტიტუციის პირველი გამოცემის ორი ცნობილი ორიგინალი ასლიდან ერთ-ერთი, დეკემბერში, აუქციონზე გამოჩნდება. ის $20-დან $30 მილიონამდეა შეფასებული. ცნობისთვის, უიშვიათესი ნიმუშიდან ერთი, გასულ წელს, Sotheby's-ის აუქციონზე რეკორდულ $43.2 მილიონად Citadel-ის აღმასრულებელმა დირექტორმა, კენ გრიფინმა შეიძინა.

კონსტიტუციის ეგზემპლარი, რომელიც დეკემბერში გაიყიდება, ბოლოს აუქციონზე 1894 წელს გამოჩნდა. Sotheby's-ის განცხადებით, ეს არის პირველი ბეჭდური ვერსია, რომელიც მე-19 საუკუნის ისტორიკოსებმა და კოლექციონერებმა დოკუმენტის ოფიციალურ პირველ გამოცემად აღიარეს. სააუქციონო სახლის ინფორმაციით, ამჟამად, აშშ-ის კონსტიტუციის პირველი ოფიციალური გამოცემის ცამეტი ცნობილი ასლიდან თერთმეტი, ოფიციალურ ინსტიტუტებსა და სამთავრობო კოლექციებში ინახება. კერძო საკუთრებაში არსებული ეგზემპლარებიდან ერთ-ერთი კი სწორედ ზემოთ ნახსენები ე.წ. „გოლდმენის კონსტიტუციაა“, რომელიც გრიფინმა 2021 წლის ნოემბერში Sotheby's-ის აუქციონზე შეიძინა და შემდგომში, გამოფენისთვის, „კრისტალ ბრიჯის ამერიკული ხელოვნების მუზეუმს“ გადასცა. Sotheby's-ის განცხადებით, $43.2 მილიონი რეკორდული თანხაა, რომელიც აუქციონზე ნებისმიერი სახის წიგნისთვის, ხელნაწერისა თუ ბეჭდური ტექსტისთვის ოდესმე გადაუხდიათ.

ფასიანი მომსახურება ტვიტერში

ილონ მასკმა ტვიტერში ფასიანი მომსახურება შემოიღო. იმ მომხმარებლებს, რომელთაც ოფიციალური ანგარიშის აღმნიშვნელი ლურჯი სიმბოლოს დაყენება სურთ, თვეში 8 დოლარის გადახდა მოუწევთ.

მომხმარებლის ავთენტიკურობის დამადასტურებელ სიმბოლოს ძირითადად მაღალი რანგის პირები, ან ცნობილი ადამიანები იყენებენ. ამჟამად ტვიტერის ეს მომსახურება უფასოა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7596; ევრო - 2.7309
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1769;
100 რუბლი - 4.4723; თურქული ლირა - 0.1482;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6278;
1000 სომხური დრამი - 6.9885.

ამინდი 4 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	–1,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge